

ნანა ჯაფარიძე  
ნანი ჭულაია  
მაია ცილოსანი

4

# ეათვამატივა

## მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.



სულაპაკაურის  
გამოხვევლობა

მათემატიკა 4  
მასწავლებლის წიგნი მეოთხეკლასელთათვის  
თბილისი, 2018

ავტორები: ნანა ჯაფარიძე, ნანი წულაძა, მაია წილოსანი

რედაქტორები: თამარ გავაშელიშვილი, მარიამ გოჩიტაშვილი  
დიზაინერი: ია მახათაძე  
ტექნიკური დიზაინერი: ნინო კუბლაშვილი

© სულაკაურის გამომცემლობა, 2018

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“  
აღმაშენებლის 150, თბილისი 0112  
ტელ.: 2910954, 2911165  
ელფოსტა: [info@sulakauri.ge](mailto:info@sulakauri.ge)

ISBN 978-9941-30-032-5

Mathematics 4  
Teacher's Book

© Sulakauri Publishing, 2018  
all rights reserved.

Tbilisi, Georgia  
[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)

# სარჩევი

<u>სახელმძღვანელოს შესახებ</u> .....5	ამოცსები და მითითებები
<u>გაკვეთილების სანიტურო სცენარები</u> ....7	I თავი
I თავი	
§1. <u>შეკრება, შეკრების კანონები</u> .....7	§1. <u>შეკრება, შეკრების კანონები</u> .....35
§2. <u>რიცხვების ქვეშმიწერით შეკრება</u> .....8	§2. <u>რიცხვების ქვეშმიწერით შეკრება</u> .....36
§3. <u>გამოკლება</u> .....8	§3. <u>გამოკლება</u> .....36
§4. <u>გამოკლება ქვეშმიწერით</u> .....9	§4. <u>გამოკლება ქვეშმიწერით</u> .....37
§5. <u>გამოსახულება. მოქმედებათა შესრულების რიგი (2 სთ)</u> .....10	§5. <u>გამოსახულება. მოქმედებათა შესრულების რიგი</u> .....37
§6. <u>ამოვხსნათ ამოცანები</u> .....11	§6. <u>ამოვხსნათ ამოცანები</u> .....38
§7. <u>ამოვხსნათ ამოცანები (გაგრძელება)</u> ..11	§7. <u>ამოვხსნათ ამოცანები (გაგრძელება)</u> ..39
§8. <u>მრგვალი რიცხვები</u> .....12	§8. <u>მრგვალი რიცხვები</u> .....39
§9. <u>დიაგრამა</u> .....12	§9. <u>დიაგრამა</u> .....40
II თავი	ტესტი თვითშემოწმებისთვის.....40
§6. <u>გაყოფა ნაშთით</u> .....13	I თავის დამატებითი სავარჯიშოები.....40
III თავი	
§8. <u>დროის ერთეულები</u> .....14	§1. <u>გამრავლება</u> .....42
IV თავი	§2. <u>გამრავლების განრიგებადობის კანონი შეკრების მიმართ</u> .....42
V თავი	§3. <u>გამრავლების განრიგებადობის კანონი გამოკლების მიმართ</u> .....42
VI თავი	§4. <u>რიცხვის გამრავლება 10-ზე, 100-ზე</u> ....42
	§5. <u>გამრავლება ერთნიშნა რიცხვზე</u> .....43
	§6. <u>გაყოფა ნაშთით</u> .....43
	§7. <u>ჯამის გაყოფა რიცხვზე</u> .....44
	§8. <u>გაყოფა ერთნიშნა რიცხვზე</u> .....44
	§9. <u>გაყოფა ერთნიშნა რიცხვზე, როცა განაყოფის ჩანაწერში მიიღება ნული</u> .....45
	§10. <u>ამოვხსნათ ამოცანები</u> .....45
	ტესტი თვითშემოწმებისთვის.....45
	II თავის დამატებითი სავარჯიშოები.....45
III თავი	
	§1. <u>რიცხვები, რომლებიც მეტია 1000-ზე</u> ..47
	§2. <u>კლასები, თანრიგები</u> .....47
	§3. <u>ნატურალური რიცხვები</u> .....47

<u>§4. რიცხვის გადიდება და შემცირება 10-ჯერ, 100-ჯერ, 1000-ჯერ</u>	48	<u>§7. სიჩქარე. სიჩქარის ერთეულები.</u>	
<u>§5. რიცხვების შედარება</u>	48	<u>სხეულის სიჩქარე, დროსა და მანძილს შორის დამოკიდებულება</u>	57
<u>§6. სიგრძის ერთეულები</u>	48	<u>§8. ამოვხსნათ ამოცანები</u>	57
<u>§7. მასის ერთეულები</u>	49	<u>§9. რიცხვის გაყოფა ნამრავლზე</u>	58
<u>§8. დროის ერთეულები</u>	50	<u>§10. ნამრავლის გაყოფა რიცხვზე</u>	58
<u>ტესტი თვითშემოწმებისთვის</u>	50	<u>§11. ნულით დაბოლოებულ რიცხვზე ქვეშმიწერით გაყოფა</u>	59
<u>III თავის დამატებითი სავარჯიშოები</u>	50	<u>§12. გეომეტრიული ფიგურები.</u>	59
<b>IV თავი</b>		<u>ტესტი თვითშემოწმებისთვის</u>	59
<u>§1. მრავალნიშნა რიცხვების შეკრება</u>	51	<u>V თავის დამატებითი სავარჯიშოები</u>	59
<u>§2. მრავალნიშნა რიცხვების გამოკლება</u>	51		
<u>§3. შეკრებისა და გამოკლების თვისებები</u>	51		
<u>§4. უცნობი შესაკრების პოვნა</u>	51		
<u>§5. უცნობი საკლებისა და მაკლების პოვნა</u>	52		
<u>§6. განტოლება</u>	52		
<u>§7. ამოცანები სიდიდეების შეკრება-გამოკლებაზე</u>	52		
<u>§8. შევაფასოთ ჯამი და სხვაობა</u>	53		
<u>ტესტი თვითშემოწმებისთვის</u>	53		
<u>IV თავის დამატებითი სავარჯიშოები</u>	54		
<b>V თავი</b>			
<u>§1. მრავალნიშნა რიცხვის გამრავლება ერთნიშნა რიცხვზე</u>	55	<u>§1. წილადი</u>	60
<u>§2. ნულით დაბოლოებული რიცხვის ქვეშმიწერით გამრავლება</u>	55	<u>§2. წილადების შედარება</u>	60
<u>§3. ნულით დაბოლოებული რიცხვების გამრავლება</u>	56	<u>§3. რიცხვის წილადი ნაწილის პოვნა</u>	60
<u>§4. მრავალნიშნა რიცხვის გაყოფა ერთნიშნა რიცხვზე</u>	56	<u>§4. იპოვე მთელი, თუ იცი მისი ნაწილი</u>	61
<u>§5. უცნობი თანამამრავლის პოვნა</u>	56	<u>§5. ორნიშნა რიცხვზე ქვეშმიწერით გამრავლება</u>	61
<u>§6. უცნობი გასაყოფისა და გამყოფის პოვნა</u>	57	<u>§6. გამრავლება სამნიშნა რიცხვზე</u>	61
		<u>§7. გაყოფა ორნიშნა რიცხვზე</u>	62
		<u>§8. გაყოფა ორნიშნა რიცხვზე (გაგრძელება)</u>	62
		<u>§9. გაყოფა სამნიშნა რიცხვზე</u>	62
		<u>ტესტი თვითშემოწმებისთვის</u>	63
		<u>VI თავის დამატებითი სავარჯიშოები</u>	63
		<u>გეოაკადემიური სამუშაოს ნიმუშები</u>	64
		<u>ინსტრუქცია ისტ-ის გამოყენებით დავალებების შესასრულებლად</u>	67
		<u>მოსწავლის ნიგნის სავარჯიშოების სერი პასუხები</u>	71
		<u>პეტლური და ელექტრონული რესურსები მასწავლებლისთვის</u>	74
		<u>დამხმარე ლიტერატურა</u>	74

# სახელმძღვანელოს შესახებ

## მიზანი

IV კლასში მათემატიკის სწავლების ძირითადი მიზანია მოზარდში აზროვნების უნარის განვითარება ლოგიკური და კრიტიკული დამოკიდებულების ჩამოყალიბება, მათემატიკის იმ „ანბანის“ ათვისება და გათავისება, რომელზეც უნდა დაშენდეს შემდგომი ცოდნა.

## მოსწავლის წიგნის სტრუქტურა

მოსწავლის წიგნი ყოველი თავი დაყოფილია პარაგრაფებად. აქედან თითოეულს ახლავს „ტესტები თვითშემოწმებისათვის“ და დამატებითი სავარჯიშოები, რომლებიც, ერთი მხრივ, გავლილი მასალის გამყარებასა და ღრმად გააზრებას ემსახურება, მეორე მხრივ, იმ უნარ-ჩვეულების ჩამოყალიბებას, რაც მათ მოამზადებს მათემატიკის „სილამაზის“, ლოგიკისა და თანმიმდევრულობის აღსაქმელად.

## მეთოდიკა

პარაგრაფის სტრუქტურა მაქსიმალურად უზრუნველყოფს მოსწავლის ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. ყოველი პარაგრაფი იწყება მოსწავლეებისთვის (ინდივიდუალური ან წყვილებში) განკუთვნილი დავალებით, რომლის გადაწყვეტის შემდეგაც მოზარდი მზადაა ახალი მასალის ასათვისებლად; მის გააზრებასა და ათვისებაში ხელს უწყობს პარაგრაფში ჩართული „ინდივიდუალური კითხვები“, რომლებიც ზოგ პარაგრაფში რამდენიმე ადგილას გვხვდება (იმის მიხედვით, თუ რამდენად ითხოვს ამას პარაგრაფში გადმოცემული მასალა). ამავე დროს, მოსწავლეს და მასწავლებელს ეხმარება იმის შეფასებაში, თუ რამდენადაა ათვისებული და გააზრებული ესა თუ ის თემატური მომენტი.

პარაგრაფის ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს ისეთი გაკვეთილის ჩატარებას, სადაც მასწავლებელი არ არის მასალის გადმომცემი და მოსწავლე – პასიური მსმენელი.

მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში. ყოველი დასკვნა, განმარტება და წესიყალიბდება მოსწავლეებისა და მასწავლებლის ერთობლივი ძალისხმევით. ყოველ თავს ახლავს ერთი ან ორი „ტესტი თვითშემოწმებისთვის“, რომლის დანიშნულებაცაა არა მხოლოდ ტესტში მოცემული დავალებების შესრულება, არამედ მოსწავლის მიერ საკუთარი თავის შეფასება.

## მასწავლებლის წიგნის სტრუქტურა

მასწავლებლის წიგნში მოცემულია მკაფიო მითითებები ან ამოხსნები. გაკვეთილის მსვლელობა პარაგრაფის სტრუქტურითაა უზრუნველყოფილი, მაგრამ მასწავლებელს შეუძლია, შეცვალოს იგი შეხედულებისამებრ.

მასწავლებლის წიგნში, ასევე, მოცემულია მოსწავლის შეფასების სისტემა, მიზნებისა და შედეგების რუკა, გაკვეთილის სცენარები პირველი თავის ყველა პარაგრაფისთვის, ხოლო დანარჩენი თავებიდან 1 ან 2 პარაგრაფისთვის.

მასწავლებლის წიგნის პირველი მოცემულია დამხმარე ლიტერატურა, შემაჯამებელი სამუშაოს წიმუშები და მოსწავლის წიგნში შესული ამოცანების/სავარჯიშოების სწორი პასუხები.

## **გთავაზობთ გაკვეთილის ჩატარების ზოგად სქემას:**

- I - მიცემული ინდივიდუალური დავალება (5 წთ);
- II - ამ დავალებების პრეზენტაცია მოსწავლეთა მიერ (5-10 წთ);
- III - ახალი მასალის განხილვა (მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად) (10-15 წთ);
- IV - ახალი მასალის გამყარება, განმტკიცება – წიგნში მოცემული ინდივიდუალური ან წყვილებისთვის განკუთვნილი კითხვებით (5-10 წთ);
- V - პარაგრაფში განხილული ამოხსნილი ამოცანების გარჩევა-გააზრება (ხშირად დისკუსიითაც) (10 წთ);
- VI - გაკვეთილის შეჯამება, დავალების მიცემა (5 წთ).

# გაკვეთილების სანიმუშო სცენარები

## I თავი

### §1. შეკრება, შეკრების კანონები

**რეზიუმე:** მოსწავლეები შეძლებენ, კონკრეტული მაგალითისთვის აირჩიონ ზეპირად შეკრებისთვის ხელსაყრელი ხერხი და წარმოადგინონ.

#### შეძლებენ:

- რიცხვების შეკრებას;
- რამდენიმე შესაკრების შემთხვევაში მოახდენენ შესაკრებების დაჯგუფებას ადვილად ანგარიშის მიზნით.

#### აქტივობის აღწერა:

- სიის ამოკითხვა, საშინაო დავალების შემოწმება (5 წთ);
- მასწავლებელი ხსნის პარაგრაფის დასაწყისში მოცემულ მაპროვოცირებელ ამოცანას ორი ხერხით (5-7 წთ);
- კითხვა-პასუხის რეჟიმში, კლასი ახდენს შეკრების გადანაცვლებადობის კანონის დემონსტრირებას (5 წთ);
- მასწავლებელი არჩევს პარაგრაფში განხილულ 2-ე ამოცანას (5-7 წთ); კითხვა-პასუხის რეჟიმში მოსწავლეები აყალიბებენ შეკრების ჯუფთებადობის კანონს (5 წთ);
- პარაგრაფში მოცემული მაგალითების ამოხსნის ნიმუშების საფუძველზე, მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს მოცემული რიცხვების შეკრებას (10 წთ);
- მასწავლებელი აჯამებს შედეგებს და აძლევს საშინაო დავალებას (5 წთ).

მაგიური კვადრატი:

40	30	80
30	50	10
20	70	60

48	6	36
15	30	42
24	54	12

**თამაში:** ერთმა მოთამაშემ უნდა დაასახელოს 9, მეორემ რაც უნდა დაასახელოს, პირველი შეძლებს, დაასახელოს 19, შემდეგ – 29... 89. ამის შემდეგ, მეორემ რაც უნდა დაასახელოს, პირველს შეუძლია 10-ის ფარგლებში მომატება, ამიტომ დაასახელებს 100-ს.

## §2. რიცხვების ქვეშმინერით შეკრება

**რეზიუმე:** გაეცნობიან რიცხვების ქვეშმინერით შეკრების წესს.

### შეძლებენ:

ორი ან ორზე მეტი რიცხვების ქვეშმინერით შეკრებას. ქვეშმინერით შეკრების საშუალებით ამოცანების ამოხსნას.

#### აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი ამოიკითხავს სიას და შეამოწმებს საშინაო დავალებას (5 წთ);
- მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, იფიქრონ პარაგრაფის დასაწყისში მოცემულ მაპროვოცირებელ ამოცანაზე (5 წთ);
- რომელიმე მოსწავლე ახდენს ამ ამოცანის ამოხსნის პრეზენტაციას (5 წთ);
- მასწავლებელი ხსნის ქვეშმინერით შეკრებისას რიცხვების ჩანერის წესს (5 წთ);
- მოსწავლეები კითხვა-პასუხის რეჟიმში ასრულებენ მოცემული რიცხვების ქვეშმინერით შეკრებას, ასახელებენ ორივე შესაკრებში ათეულების, ასეულების მაჩვენებელ ციფრებს (10 წთ);
- მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს წყვილებისთვის განკუთვნილი მაგალითის ამოხსნას (5 წთ);
- მასწავლებელი ამოწმებს მიღებულ პასუხებს და რომელიმე წყვილს ავალებს ამოხსნილი მაგალითის ამოხსნის დემონსტრირებას (5 წთ);
- მასწავლებელი აჯამებს შედეგებს და აძლევს საშინაო დავალებას (5 წთ).

#### მითითება:

№13 101; 110; 200.

№16 32 → 23

## §3. გამოკლება

**რეზიუმე:** გაეცნობიან გამოკლების თვისებებს.

### შეძლებენ:

- დაასახელონ საკლები, მაკლები, სხვაობა;
- შეამოწმონ შეკრების შედეგის სისწორე;
- შეადარონ ორი სხვაობის შედეგი;
- კონკრეტული მაგალითის შემთხვევაში იპოვონ უცნობი საკლები, მაკლები ან სხვაობა.

#### აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი ამოიკითხავს სიას და შეამოწმებს საშინაო დავალებას (5 წთ);
- მასწავლებელი ხნის პარაგრაფის დასაწყისში მოცემულ მაპროვოცირებელ ამოცანას (5 წთ);

- მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, ამოხსნან პარაგრაფში მოცემული მაგალითები (10 წთ);
- მოსწავლეები ახდენენ მიღებული შედეგების პრეზენტაციას (10 წთ);
- მასწავლებელი აჯამებს შედეგებს და აძლევს საშინაო დავალებას (5 წთ).

**მითითება:**

**№10.** ლურსმნების ნახევრის გადმოყრის შემდეგ ლურსმნებიანი ყუთის წონა შემცირდა 8 კგ-ით. ე.ი. ყველა ლურსმანი იწონის 16 კგ-ს. მაშასადამე, ცარიელი ყუთის წონაა 2 კგ.

**№11.** დათომ ნახევარი მისცა დას – დარჩა 50 ლარი. დარჩენილის ნახევარი, ე.ი. 25 ლარი, დახარჯა და დარჩა 25 ლარი.

<b>რებუსი:</b>	368	218
	153	193
	<b>476</b>	<b>389</b>
	<b>997</b>	<b>800</b>

## §4. გამოკლება ქვეშმიწერით

**რეზიუმე:** გაეცნობიან ქვეშმიწერით გამოკლების წესს.

**შეძლებენ:**

- ორნიშნა და სამნიშნა რიცხვების გამოკლებას ქვეშმიწერით;
- ქვეშმიწერით გამოკლების საშუალებით ამოცანების ამოხსნას.

**აქტივობის აღწერა:**

- მასწავლებელი ამოიკითხავს სიას და ამოწმებს საშინაო დავალებას (5 წთ);
- მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, ამოხსნან პარაგრაფის დასაწყისში მოცემული ამოცანა (5 წთ);
- რომელიმე მოსწავლე ახდენს ამოხსნის პრეზენტაციას (5 წთ);
- შემდეგ იმავე გამოკლების ოპერაციას, რომელიც ამოცანის ამოხსნისთვის დასჭირდათ, მასწავლებელი ასრულებს ქვეშმიწერით, განუმარტავს რომ ქვეშმიწერით გამოკლებისას, ისევე როგორც შეკრებისას, შესაბამისი თანრიგები უნდა ჩაიწეროს ერთმანეთის ქვეშ (5 წთ);
- შემდეგ მასწავლებელი კითხვა-პასუხის რეჟიმში ახდენს პარაგრაფში განხილული მაგალითების ამოხსნის დემონსტრირებას (10 წთ);
- ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როდესაც შესაბამისი თანრიგები საკლებისა ნაკლებია, ვიდრე – მაკლების, საჭიროა, გამოვიყენოთ თანრიგის დაშლის ხერხი. დაწვრილებით განიხილავს ამ ხერხს (10 წთ);
- მასწავლებელი აჯამებს შედეგებს და აძლევს საშინაო დავალებას.

## §5. გამოსახულება. მოქმედებათა შესრულების რიგი (2 სთ)

### I საათი

**რეზიუმე:** გაეცნობიან მოქმედებათა შესრულების რიგს, რიცხვით გამოსახულებას.

#### შეძლებენ:

- ოთხივე მოქმედების შემცველი რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის პოვნას;
- ფრჩხილების შემცველი რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის პოვნას;
- მოქმედებათა შესრულების თანმიმდევრობის დადგენას;
- ამოცანების ამოხსნას, სადაც რამდენიმე მოქმედებაა შესრულებული.

#### აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი ამოიკითხავს სიას და ამონტებს საშინაო დავალებას (5 წთ);
- ავალებს მოსწავლეებს, იფიქრონ პარაგრაფის დასაწყისში მოცემულ მაპროვოცირებელ დავალებაზე (5 წთ);
- შემდეგ დააკონკრეტებენ, მოცემული გამოსახულებიდან რომელია რიცხვითი გამოსახულება და აყალიბებენ მოქმედებათა შესრულების რიგს (15 წთ);
- მასწავლებელი ახდენს პარაგრაფში განხილული ამოცანების (ა და ბ შემთხვევაში) ამოხსნას, დემონსტრირებას (5 წთ);
- ავალებს მოსწავლეებს დამოუკიდებლად ამოხსნან გ შემთხვევა (5 წთ);
- რომელიმე მოსწავლე ახდენს ამოხსნის დემონსტრირებას (5 წთ);
- მასწავლებელი აჯამებს შედეგებს და აძლევს საშინაო დავალებას (5 წთ).

### II საათი

**რეზიუმე:** გაეცნობიან ასოით გამოსახულებას.

#### შეძლებენ:

- იპოვონ ასოითი გამოსახულების მნიშვნელობა კონკრეტული მოცემულობის პირობებში;
- კონკრეტული ამოცანისთვის შეადგინონ ამოხსნის შესაბამისი ასოითი გამოსახულება.

#### აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი ამოიკითხავს სიას და ამონტებს საშინაო დავალებას (5 წთ);
- ავალებს მოსწავლეებს, იფიქრონ პარაგრაფში მოცემულ მაპროვოცირებელ ამოცანაზე (5 წთ);
- მასწავლებელი აყალიბებს ასოითი გამოსახულების განმარტებას და იხილავს პარაგრაფში განხილულ ამოცანებს (15 წთ);
- ავალებს მოსწავლეებს, გადაიხაზონ რვეულებში და შეავსონ ცხრილი სავარჯიშო №1 (10 წთ);
- მასწავლებელი აჯამებს შედეგებს და აძლევს საშინაო დავალებას (5 წთ).

## §6. ამოვხსნათ ამოცანები

**რეზიუმე:** გაეცნობიან გარკვეული ტიპის ამოცანების ამოხსნის ნიმუშებს.

**შეძლებენ:**

- ადვილი ხერხით ამოხსნან მოცემული სახის ამოცანები.

**აქტივობის აღწერა:**

- მასწავლებელი ამოიკითხავს სიას და ამოწმებს საშინაო დავალებას (5 წთ);
- მასწავლებელი ახდენს პარაგრაფის დასაწყისში მოცემული მაპროვო-ცირებელი ამოცანის ამოხსნას კითხვა-პასუხის რეჟიმში (ორივე ხერხით) (15 წთ);
- მასწავლებელი ხსნის მე-2 ამოცანას კითხვა-პასუხის რეჟიმში (10 წთ);
- შემდეგ მიუთითებს, როგორ შეიძლება II ხერხით ამოხსნა და ავალებს მოსწავლეებს, ამოხსნან ამოცანა II ხერხით (5 წთ);
- რომელიმე მოსწავლე ახდენს II ხერხით ამოხსნის პრეზენტაციას (5 წთ;
- მასწავლებელი აჯამებს შედეგებს და აძლევს დავალებას (5 წთ).

სასურველია, მასწავლებელმა მიაწოდოს ამოხსნის III მახვილგონივრული ხერხი.

**ამოხსნა:**

წარმოიდგინეთ, რომ კურდლები დადგნენ 2 ფეხზე, ქათმები კი – ცალ ფეხზე. ცხადია, მიწაზე მდგომი ფეხების რაოდენობა განახევრდა, ე.ი. გახდა  $3012:2=156$ .

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ქათმები გაფრინდნენ და კურდლები დადგნენ ცალ ფეხზე. დაგვაკლდა თითო ფეხი თითო სულზე, მიწაზე დარჩა  $156-100=56$  ფეხი.

ეს არის თითო კურდლების თითო ფეხი, ე.ი. არის 56 კურდლელი და მაშასადამე, 44 ქათამი.

## §7. ამოვხსნათ ამოცანები (გაგრძელება)

**რეზიუმე:** გაეცნობიან გარკვეული ტიპის ამოცანების ამოხსნის ნიმუშებს. შეძლებენ გარკვეული ტიპის ამოცანებში ამოირჩიონ ამოხსნის ხერხი: გამოკლება შეასრულონ თუ შეკრება?

**აქტივობის აღწერა:**

- მასწავლებელი ამოიკითხავს სიას და ამოწმებს საშინაო დავალებას (5 წთ);
- მასწავლებელი მოსწავლეების აქტიური მონაწილეობით განიხილავს პარაგრაფის დასაწყისში გარჩეულ ორივე ამოცანას (15 წთ);
- შემდეგ მოსწავლეებს ავალებს, წყვილებში იფიქრონ სავარჯიშო №1-ის ა, ბ და გ შემთხვევებზე (10 წთ);
- წყვილები ახდენენ ამოხსნილი ამოცანების პრეზენტაციას (10 წთ);
- მასწავლებელი აჯამებს შედეგებს და აძლევს საშინაო დავალებას.

## §8. მრგვალი რიცხვები

რეზიუმე: გაეცნობიან მრგვალ რიცხვებს.

### შეძლებენ:

- შეაფასონ რომელიმე ორ მრგვალ რიცხვს შორის მოცემული რიცხვი.

### აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი კითხულობს სიას და ამონმებს საშინაო დავალებას (5 ნთ);
- მასწავლებელი განმარტავს მრგვალ რიცხვებს და პარაგრაფში მოცემული შეკითხვებით აღრმავებს მასალას (10 ნთ);
- მასწავლებელი ავალებს წყვილებს/ჯგუფებს იმუშაონ №2 ამოცანაზე (15 ნთ);
- ჯგუფები ახდენენ ამოცანის პრეზენტაციას (10 ნთ);
- მასწავლებელი აფასებს შედეგებს და აძლევს საშინაო დავალებას.

**სავარჯიშო:** №2. შევემნათ სამნიშნა მრგვალი რიცხვის მოდელი: .. 0 .

ეს ამოცანა იგივეა, რაც „3,48 ციფრებით ჩანს რეალი ცველა ორნიშნა რიცხვი ისე, რომ ციფრები არ განმეორდეს“.

34	43	83	თუ ნულს მივუწერთ ამ ორნიშნა რიცხვებს,
38	48	84	მივიღებთ ამოცანის ამოხსნას:
340, 380, 430, 480, 830, 840			

სასურველია, მოსწავლეებს განვუმარტოთ, რომ თუ ხდება რაიმე პირობის მიხედვით რიცხვების ჩამონერა ან დათვლა, საჭიროა, ავირჩიოთ სისტემა, რის მიხედვითაც მოხდება დავალების შესრულება.

## §9. დიაგრამა

რეზიუმე: გაეცნობიან სვეტოვან დიაგრამას.

### შეძლებენ:

- პასუხი გასცენ შეკითხვებს დიაგრამის მიხედვით;
- ამოცანის პირობა გამოსახონ დიაგრამის საშუალებით;
- დიაგრამით მოცემული პირობა გამოსახონ ცხრილის საშუალებით;
- ცხრილით მოცემული პირობა გამოსახონ დიაგრამის საშუალებით.

### აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი ამონკითხავს სიას და ამონმებს საშინაო დავალებას (5 ნთ);
- წინასწარ მომზადებული პლაკატის მიხედვით (I დიაგრამა პარაგრაფიდან) მასწავლებელი ხსნის პრინციპს, თუროგორუნდა ამონკითხონ მოცემულობა დიაგრამიდან (10 ნთ);
- მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს შეასრულონ პარაგრაფში მოცემული დავალება (დიაგრამის მიხედვით შეავსონ ცხრილი) (10 ნთ);
- მასწავლებელი ამონმებს დავალების შესრულების სისწორეს და საჭიროების შემთხვევაში აძლევს მითითებებს ან უსწორებს შეცდომებს (10 ნთ).

## II თავი

### წ6. გაყოფა ნაშთით

**რეზიუმე:** გაეცნობიან ნაშთიან გაყოფას.

**შეძლებები:**

- გაყოფის შესრულებისას იპოვონ განაყოფი და ნაშთი.

**აქტივობის აღწერა:**

- მასწავლებელი ამოიკითხავს სიას და ამოწმებს საშინაო დავალებას (5 წთ);
- განიხილება №1-ლი მაპროვოცირებელი ამოცანა. თითოეულ შემთხვევაში იპოვიან განაყოფს. ბოლოს ნახავენ, რომ 18 არ იყოფა 7-ზე (5 წთ);
- მასწავლებელი ავალებს, იფიქრონ 2 ამოცანაზე (5 წთ);
- განიხილავენ ამოცანას და ნახავენ, რომ ამოცანის ამოსახსნელად საჭიროა: 29 გაყონ 3-ზე (5 წთ);
- სასურველია, მასწავლებელმა აჩვენოს, რომ  $29=27+2$ .  
27 კაკალი თანაბრად განაწილდება 3 ბავშვზე, თითოს შეხვდება 3-3 და დარჩება კიდევ 2 კაკალი. მასწავლებელი ამის შემდეგ განმარტავს ნაშთიან გაყოფას (5 წთ);
- მასწავლებელი წყვილებს ავალებს პარაგრაფში მოცემული ცხრილის შევსებას. სასურველია, განუმარტოს ცხრილის პირველი სვეტი, რომ მოსწავლეები მიხვდნენ დავალების შინაარსს (10 წთ);
- წინასწარ გამზადებული პლაკატის მიხედვით (შევსებული ცხრილი) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეაფასონ, სწორია თუ არა მათ მიერ შესრულებული დავალება (5 წთ);
- მასწავლებელი აჯამებს შედეგებს და აძლევს საშინაო დავალებას.

### III თავი

#### §8. დროის ერთეულები

**რეზიუმე:** მოსწავლეები გაეცნობიან დროის სხვადასხვა ერთეულს და მათ შორის კავშირს.

##### **შეძლებენ:**

- დროის ერთ ერთეულში მოცემული სიდიდის სხვა ერთეულში გამოსახვას;
- დროის სხვადასხვა ერთეულებში მოცემული სიდიდეების შეკრება-გამოკლებას.

##### **აქტივობის აღწერა:**

- მასწავლებელი ამოიკითხავს სიას, შეამოწმებს საშინაო დავალებას, გაარჩევს გაუგებარ სავარჯიშოებს (5-10 წთ);
- მასწავლებელი დასვამს პარაგრაფის დასაწყისში მოცემულ №1 (ა-გ) შეკითხვებს, რის შემდეგაც გაიგებენ მოსწავლეები, რომ 1 წუთი = 60 წამს (10 წთ);
- №2 სავარჯიშოს განხილვისას გაიგებენ, რომ დღე-ღამეში 24 საათია. შეძლებენ ციფერბლატიანი საათის ჩვენების წაკითხვას (5 წთ);
- განიხილავენ ელექტრონულ საათს და წაიკითხავენ მასზე მოცემულ დროს (5 წთ);
- წიგნში მოცემულ №4 ამოცანის საფუძველზე გაარკვევენ წელიწადში თვეების რაოდენობას, დღეების რაოდენობას. გაიგებენ რას ნიშნავს წაკიანი წელიწადი (5 წთ);
- განიხილება №6 დავალება, რის შემდეგაც წახავენ, რომ 1 საუკუნე 100 წელიწადია (5 წთ);
- მასწავლებელი შეაჯამებს გაკვეთილს და მისცემს საშინაო დავალებას №1-15 (5 წთ).

## IV თავი

### §5. უცნობი საკლებისა და მაკლების პოვნა

**რეზიუმე:** მოსწავლეები გაეცნობიან უცნობი საკლებისა და უცნობი მაკლების პოვნის წესებს.

#### შეძლებენ:

- უცნობი საკლების ან მაკლების პოვნას;
- ცვლადის შემოტანას უცნობი კომპონენტის საპოვნელად;
- განტოლების ამოხსნას და უცნობი კომპონენტის პოვნას.

#### აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი ამოწმებს საშინაო დავალებას, ამოიკითხავს სიას და გასცემს შეკითხვებზე პასუხებს (5-10 წთ);
- მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს პარაგრაფის დასაწყისში მოცემულ №1 და №2 ამოცანებზე ფიქრს (5 წთ);
- შემდეგ მასწავლებელი აყალიბებს უცნობი საკლებისა და უცნობი მაკლების პოვნის წესებს (5 წთ);
- ამის შემდეგ №1 და №2 ამოცანების ამოსახსნელად შემოაქვთ უცნობი სიდიდე, ადგენერ პირობის შესაბამის ასოით გამოსახულებას, წერენ განტოლებას და პოულობენ უცნობს (15 წთ);
- კლასში განიხილება სავარჯიშოები №1-3 (10 წთ);
- მასწავლებელი შეაჯამებს შედეგებს და აძლევს საშინაო დავალებას №4-9 (5 წთ).

# V თავი

## §12. გეომეტრიული ფიგურები

### ჯგუფური მეცადინეობა:

მასწავლებელი წინასწარ ავალებს მოსწავლეებს მოიტანონ ფერადი ქაღალდები, წებო და მაკრატელი.

### აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი დაყოფს კლასს ჯგუფებად (3-4 ჯგუფი) და განუმარტავს პარაგრაფში მოცემულ ცხრილებს (5 წთ.). ჯგუფები ავსებენ ცხრილებს და მიუტანენ მასწავლებელს (15 წთ.). (თითოეული სწორად შევსებული სტრიქონი ფასდება 1 ქულით).
- მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს №1 და №2 დავალებების შესრულებას. თითოეული სწორად შესრულებული დავალება ფასდება 5 ქულით (15 წთ.).
- №3 დავალებაზე მასწავლებელს თითო ჯგუფიდან გამოყავს თითო მოსწავლე, ურიგებს ჯგუფებსაც და გამოსულ მოსწავლეებსაც წინასწარ დაწერილ თითო შეკითხვას „ა“-დან „ზ“-მდე (თითო კითხვაზე ეძლევათ 2 წთ). მოსწავლის მიერ სწორად შესრულებული დავალება ფასდება 2 ქულით, ჯგუფის კი – 1 ქულით (20 წთ.).
- მასწავლებელი აჯამებს შედეგებს და აცხადებს ქულებს (5 წთ).

## VI თავი

### §2. წილადების შედარება

**რეზიუმე:** მოსწავლეები გაეცნობიან ტოლმიშვნელიანი და ტოლმრიცხველიანი წილადების შედარების წესს.

#### შეძლებენ:

- შეადარონ წილადი რიცხვები;
- ზრდით ან კლებით დაადგინონ რამდენიმე წილადი რიცხვი.

#### აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი ამოიკითხავს სიას, შეამოწმებს დავალებას და უპასუხებს შეკითხვებს. სასურველია, გაახსენოს მოსწავლეებს გავლილი მასალა და კიდევ ერთხელ განიხილონ წინა პარაგრაფის დავალებებიდან მსგავსი მაგალითები (15 წთ).
- მასწავლებელი, წინასწარ გამზადებული პლაკატის მეშვეობით (პარაგრაფში მოცემული ცხრილი), მოსწავლეების აქტიური ჩართულობით შეავსებს აღნიშნულ ცხრილს (15 წთ).
- მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს იფიქრონ პარაგრაფში მოცემულ №2 და №3 დავალებებზე, რის შემდეგაც მოხდება ამ დავალებების განხილვა (10 წთ).
- მასწავლებელი შეაჯამებს შედეგებს და აძლევს საშინაო დავალებას.

# ამონარიდი „ეროვნული სასწავლო გეგმიდან“

## მოსწავლის შეფასების სისტემა

### მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და ამოცანები

1. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

2. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

3. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;

ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;

გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;

დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;

ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

4. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტურ დაგენერიკულ, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

### განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

1. შეფასება შეიძლება იყოს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

2. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.

3. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

## განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/წარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/ წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
შემფასებელი და შეფასების ფორმები	მასწავლებელი: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ.. მოსწავლეები: თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.	მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

## აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით:

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

### შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე

1. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

2. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.

3. V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

### მოსწავლის შეფასების კომპონენტები

1. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

- ა) მიმდინარე საშინაო დავალება;
- ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;
- გ) შემაჯამებელი დავალება.

2. მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.

3. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემ-დეგ კომპონენტებში:

ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),

ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები),

გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვს.

5. I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

6. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

7. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი	საბაზო და საშუალო საფეხურები
მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
მიმდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

8. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფირატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხოვნის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

9. ეროვნული სასწავლო გეგმა V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას.

10. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი

დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში);

11. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით;

12. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაცია-ში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

### განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

- ა) საგნის მიმდინარე საკლასო, მიმდინარე საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- ბ) საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში;
- გ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამონაკლის წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია. წლიურ ქულაში შეიძლება წლიური გამოცდის ქულაც აისახოს, თუ ასეთი გამოცდა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ მას გავლენა ექნება საგნის წლიურ ქულაზე.

### ქულების გამოანგარიშების წესი

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;
- ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);
- გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე;
- დ) თუ სემესტრის განმავლობაში სკოლაში გადასვლისას აღმოჩნდება, რომ მიმდებ სკოლაში რომელიმე საგანში/საგნებში ჩატარებულია შემაჯამებელი დავალების/დავალებების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე გამშვებ სკოლაში, მიმღები სკოლა მოსწავლის შემაჯამებელი დავალების რაოდენობას დაითვლის გამშვებ სკოლაში დად-

გენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული, ასევე მიმღებ სკოლაში მოსწავლის გად-  
მოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავა-  
ლებების მიხედვით;

ე) 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სემესტრული გამოცდის ჩაბარების  
შემთხვევაში, სემესტრული ქულა გამოითვლება მისი გათვალისწინებით: გამოცდის  
ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი  
უნდა გაიყოს ორზე;

ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7.25 მრგვალდება 7-მდე,  
4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე);

გ) თუ სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს წლიური გამოცდის ჩატარებას და  
განსაზღვრულია, რომ ამ გამოცდის ქულაც აისახება საგნის წლიურ ქულაზე, მაშინ სა-  
გნის წლიური ქულა სამი (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის სა-  
შუალო არითმეტიკულია (დამრგვალებული მთელის სიზუსტით);

დ) თუ მოსწავლეს, სკოლიდან სკოლაში სემესტრის მიმდინარეობისას გადასვლის გამო,  
მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული  
აქვს 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეფასება, რომლის საშუალო  
არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი ქულა, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის  
წლიურ ქულად. ამასთან, მიმღებმა სკოლამ უნდა შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავე-  
ბულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;

ე) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადასვლის  
გამო, მიმღებ სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული  
საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის  
წლიური ქულა. (მაგ., თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა  
ფრანგულს, მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად - გერმანულს, მაშინ ფრანგული  
ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული  
ენის სემესტრული ქულა - გერმანული ენის წლიურ ქულად).

3. საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა სა-  
გნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა წლიური ქულების საერთო რაოდენობაზე;

ბ) საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე,  
7.58 მრგვალდება 7.6-მდე, 9.75 მრგვალდება 9.8-მდე).

# რეკომენდაციები და ინსტრუმენტები მოსწავლეთა შეფასებისთვის

## მოსწავლეთა შეფასება მათემატიკის სწავლებისას

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მოსწავლეთა შეფასება შეიძლება იყოს ორი ტიპის: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში, ხოლო განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ.

ყოველი წლის ბოლოს საგნის მასწავლებელი წერს მოსწავლის მოკლე წერილობით შეფასებას, რომელშიც ახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის ნარმატებებს და მიუთითებს, რომელი მიმართულებით სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად, ხოლო სწავლის მიმდინარეობისას იყენებს მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას (იხ. ქვემოთ).

იმისათვის, რომ მასწავლებელს გაუადვილდეს წლის ბოლოს წერილობითი (განმსაზღვრელი) შეფასების შექმნა, ქვემოთ მოკლედ ჩამოვაყალიბებთ ე.ნ. რუბრიკებს შეფასებისათვის.

### ტექსტური ამოცანის ამოხსნის შეფასების რუბრიკა

ფასდება აქტივობა	არადამაკმაყ.	დამაკმაყ.	კარგი	სანიმუშო
ამოცანის მონაცე- მების გააზ- რება და ამოკრება ტექსტიდან	ვერ ახერხებს მონაცემების ამოკრებას ამოცანის ტექსტიდან.	ახერხებს ამოცა- ნის მონაცემების ამოკრებას, მაგრამ ვერ იაზ- რებს მათ ურთ- იერთკავშირს,	ახერხებს ამოცა- ნის მონაცემების ამოკრებას, იაზ- რებს მათ ურთ- იერთკავშირს, მაგრამ ზოგჯერ უშევებს შეცდომებს.	სრულყოფილად ახერხებს ამოცა- ნის მონაცემების ამოკრებას და იაზ- რებს მათ ურთ- იერთკავშირს.
ამოცანის ამოხსნის გზის მოძე- ბნა	ვერ ახერხებს ამოცანის ამოხსნის გზის მოძიებას.	ნაწილობრივ ახერხებს ამო- ცანის ამოხსნის გზის მოძიებას.	ახერხებს ამოხსნის გზის მოძიებას, თუმცა დროდადრო უშევებს მექანიკურ შეცდომებს.	სრულყოფილად ახერხებს ამოცა- ნის ამოხსნის გზის მოძიებას.
ამოხსნის გზის რე- ალიზება და პასუხის მიღება	ვერ ახერხებს ამოხსნის გზის რე- ალიზებას და პასუხის მიღებას.	ნაწილობრივ ახერხებს ამოხს- ნის გზის რეალი- ზებას, მაგრამ ვერ იდებს პასუხს.	ახერხებს ამოხსნის გზის რეალიზებას, მაგრამ პასუხის მიღებისას ზოგჯერ უშევებს შეცდომას.	სრულყოფილად ახერხებს ამოხს- ნის გზის რეალი- ზებას და სწორი პასუხის მიღებას.

## საშინაო და ტესტური დავალების შეფასების რუბრიკა

ფასდება აქტივობა	არადამაკმაყ.	დამაკმაყ.	კარგი	სანიმუშო
დავალების სწორად გააზრება	არ აქვს გააზრებული დავალება.	ნაწილობრივ აქვს გააზრე- ბული დავა- ლება.	კარგად აქვს გააზრებული დავალება.	კარგად აქვს გააზ- რებული დავალება, მომზადებული მასალა მრავალ- ფეროვანია.
შეს- რულების სისტემა- ტურობა	არ ასრულებს დავალებას სისტემატუ- რად.	ზოგჯერ დავა- ლებას ასრუ- ლებს.	დავალებას ასრულებს სისტემატურად, თუმცა – ხარვე- ზებით.	დავალებას ასრუ- ლებს სისტემატუ- რად და ამდიდრებს დამატებითი ინფორ- მაციით.
საკუთარი აზრის გადმოცე- მის უნარი	ვერ ახერხებს საკუთარი აზრის გად- მოცემას.	მეტ-ნაკლებად ახერხებს სა- კუთარი აზრის გადმოცემას.	გასაგებად ახერხებს სა- კუთარი აზრის გადმოცემას.	დამაჯერებლალად ახერხებს საკუთარი აზრის გადმოცემას.
წერის კულტურა	წერს გაურკვევ- ლად.	წერს გარკვე- ვით, თუმცა ხარვეზებით.	წერს გასაგებად და უშეცდომოდ.	წერს შესანიშნავად და უშეცდომოდ.

## საგაკვეთილო მასალის ცოდნის შეფასების რუბრიკა

ფასდება აქტივობა	არადამაკმაყ.	დამაკმაყ.	კარგი	სანიმუშო
ფაქტობრივი მასალის ცოდნა	არაადეკვატუ- რად იყენებს ცნებებს, არა- ორგანიზებუ- ლად წარმოად- გენს საკითხს.	ადეკვატუ- რად იყენებს ზოგიერთ ცნებას, არას- რულყოფილად წარმოადგენს საკითხს.	ადეკვატურად იყენებს ცნე- ბებს, ორგა- ნიზებულად წარმოადგენს საკითხს.	ყოველთვის ადეკ- ვატურად იყენებს ცნებებს, სრუ- ლყოფილად წარ- მოადგენს საკითხს, ავლენს ღრმა ანალიზის უნარს.
თეორიული ცოდნის პრაქტიკას- თან კავშირი	არაადეკვატუ- რად იყენებს თეორიულ ცოდნას პრაქ- ტიკასთან მიმართებაში.	ნაწილობრივ იყენებს თეო- რიულ ცოდნას პრაქტიკასთან მიმართებაში.	ადეკვატურად იყენებს თეო- რიულ ცოდნას პრაქტიკასთან მიმართებაში.	ადეკვატურად იყენებს თეორიულ ცოდნას პრაქტი- კასთან მიმართება- ში, ავლენს ტრანს- ფერის უნარს.

## პრეზენტაციის შეფასების რუპრიკა

ფასდება აქტივობა	დაბალი	საშუალო	მაღალი
თემის გას- აგებად წარ- მოდგენა	ვერ წარმოადგენს თემას გასაგებად.	წარმოადგენს თემას გასაგებად, მაგრამ არაარგუმენტირე- ბულად.	თემას წარმოადგენს გასაგებად, ამყარებს არგუმენტებით.
ინფორმაციის ფლობის უნარი	ვერ ფლობს საჭირო ინფორმაციას, არ შეუძლია დასაბუთე- ბული მსჯელობა.	ფლობს საჭირო ინფორმაციას, მაგრამ არ შეუძლია დასაბუთებული მსჯელობა.	ფლობს საჭირო ინ- ფორმაციას, ამყარებს არგუმენტებით და ასაბუთებს დამაჯერე- ბლად.
თვალსაჩინოე- ბის გამოყენება	არ იყენებს თვალ- საჩინოებას.	იყენებს თვალსაჩ- ინოებას, თუმცა თემას ნაწილობრივ პასუხობს.	იყენებს თემატიკის შესაბამის თვალსაჩ- ინოებას.
დროის ლიმიტი	ვერ იცავს დროის ლიმიტს.	ნაწილობრივ იცავს დროის ლიმიტს.	ზუსტად იცავს დროის ლიმიტს.

### „მაინც რა არის განმავითარებელი შეფასება?“

ქართულ ენაზე არსებობს რამდენიმე ნაშრომი განმავითარებელი შეფასების შესახებ. ვებგვერდზე <http://mastsavlebeli.ge> შეგიძლიათ, იხილოთ სოფო გორგობის სტატია - „ეფექტური განმავითარებელი შეფასება“, რომელშიც უფრო დეტალურადაა გაშლილი ქვემოთ მოცემული საკითხები.

გამოცდილი მასწავლებლები ხშირად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, თუმცა ზოგჯერ არ არქმევენ ამ სახელს და არ გამოყოფენ ცალკე, როგორც სწავლებისათვის მნიშვნელოვან კომპონენტს.

განმავითარებელი შეფასება არის პროცესი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა აქტი-  
ვობით, სწავლების მეთოდითა თუ სხვა საშუალებით ინფორმაციის მოპოვებას მოსწავ-  
ლეთა მიერ მასალის გაგების/გაზრების შესახებ და ამ ინფორმაციის გამოყენებას მათი  
პროგრესის ხელშესაწყობად.

განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, შეამოწმოს მოსწავ-  
ლების გაგების/გააზრების დონე და, შესაბამისად, დაგეგმოს სწავლების პროცესი.  
მასწავლებელს შეუძლია, დაფიქრდეს სასწავლო პრაქტიკაზე და თითოეული ბავშვის  
მიღწევებზე; იმაზე, თუ რა დაეხმარება მას თითოეული მოსწავლის საჭიროებების და-  
კმაყოფილებაში.

გთავაზობთ განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს:

- შემაჯამებელი ბარათები;
- კითხვების დასმა;
- თანატოლთა შეფასება;
- ტექნოლოგიები და განმავითარებელი შეფასება;
- კომენტარი/უკუკავშირი;
- დაკვირვება, როგორც განმავითარებელი შეფასება.

**შენიშვნა:** უფრო ვრცლად თითოეული სტრატეგიის შესახებ წაიკითხავთ სოფო გორგოძის ზემოხსნებულ სტატიაში ვებგვერდზე - <http://mastsavlebeli.ge>.

## ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გათევატიკის პროგრამა

### IV კლასში წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები

**მათ. IV.1.** მოსწავლეს შეუძლია რიცხვების გამოსახვა, შედარება და დალაგება პოზიციური სისტემის გამოყენებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- კითხულობს რიცხვებს, სხვადასხვა მოდელის გამოყენებით გამოსახავს რიცხვებს და ახდენს პოზიციური სისტემის დემონსტრირებას (მაგალითად, სტრუქტურირებული საგანთა ერთობლიობა, რიცხვით სხივზე);
- ასახელებს რიცხვის ჩანაწერში თანრიგებში მდგომი ციფრების შესაბამის მნიშვნელობებს, წარმოადგენს რიცხვს სათანრიგო შესაკრებთა ჯამის სახით;
- იყენებს პოზიციურ სისტემას რიცხვების შედარებისას, ალაგებს მოცემულ ოთხ/ხუთ რიცხვს ზრდით ან კლებით;
- ასახელებს მოცემული რიცხვის წინა და მომდევნო რიცხვებს, აგრეთვე უახლოეს ათეულს, ათასეულს; ნებისმიერი ოთხნიშნა, ხუთნიშნა რიცხვიდან ითვლის თანრიგების შესაბამისი ბიჯით წინ/უკან.

**მათ. IV.2.** მოსწავლეს შეუძლია წატურალურ რიცხვებზე სხვადასხვა ხერხით შეკრება-გამოკლების მოქმედებების შესრულება და მოქმედებათა შედეგის შეფასება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ზეპირად ასრულებს შეკრება-გამოკლების მოქმედებებს რომელიმე ხერხის გამოყენებით და ხსნის გამოყენებულ ხერხს;
- ასრულებს შეკრება-გამოკლებას სხვადასხვა ხერხის (შეფასება, ზეპირი ანგარიში, წერითი ალგორითმები) გამოყენებით; კონკრეტული მაგალითისათვის ირჩევს მათგან უფრო ხელსაყრელს;
- ადარებს გამოთვლების შედეგს მის მიერვე წინასწარი შეფასებით მიღებულ პასუხს და მსჯელობს გამოთვლების შედეგის მართებულობის შესახებ;
- ავსებს წერითი ალგორითმის გამოყენებით შესრულებული შეკრების/გამოკლების ნიმუში გამოტოვებულ ციფრებს და ასაბუთებს პასუხს.

**მათ. IV.3.** მოსწავლეს შეუძლია გამრავლება-გაყოფის მოქმედებების შესრულების რომელიმე ხერხის გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ზეპირად ყოფს ორნიშნა რიცხვს ერთნიშნაზე, შესაბამის შემთხვევაში ასახელებს განაყოფსა და ნაშთს; ასაბუთებს პასუხს;
- ხსნის რიცხვის 100-ზე და 1000-ზე და ა.შ. გამრავლების და ნულებით დაბოლოებულ რიცხვების გამრავლების შემოკლებულ წესებს; იყენებს მათ გამოთვლების შესრულებისას;
- იყენებს წერით ალგორითმს რიცხვებზე გამრავლება-გაყოფის მოქმედებათა შესასრულებლად და განმარტავს გამოყენებულ ხერხს (ერთნიშნა რიცხვზე გაყოფისას); შესაბამის შემთხვევაში უთითებს ნაშთს;
- გამოთვლებზე ამოცანების ამოხსნისას, ნაშთით გაყოფის შემთხვევაში, ახდენს ნაშთის ინტერპრეტაციას ამოცანის კონტექსტის გათვალისწინებით.

**მათ. IV.4. მოსწავლეს შეუძლია მთელის ნაწილების (ნახევარი, მესამედი, მეოთხედი) ერთმანეთისაგან განსხვავება, დასახელება და შედარება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და ასახელებს მთელის ნახევარ/მესამედ/მეოთხედ ნაწილებს სხვადასხვა მოდელზე (მონაკვეთის, მართვულთხედისა და წრის მოდელებზე, მაგალითად, ნამცხვარი, საათი, შოკოლადის ფილა);
- ახდენს ნაწილის, როგორც მთელის ტოლ ნაწილებად დაყოფის შედეგის და საგანთა სტრუქტურის მქონე გროვის ტოლი რაოდენობის ჯგუფებად დაყოფის შედეგის დემონსტრირებას;
- იყენებს გაორმაგებას და ერთმანეთთან აკავშირებს მთელის მეოთხედს და ნახევარს;
- ადარებს მთელის ნაწილს მთელის ნახევარს მოდელზე (ნახევარზე მეტია, ნაკლებია, ტოლია).

**მათ. IV.5. მოსწავლეს შეუძლია ზომის სხვადასხვა ერთეულის გამოყენება და ერთმანეთთან დაკავშირება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გამოსახავს სიგრძის/წონის რომელიმე დიდ ერთეულს (აგრეთვე დიდი ერთეულის ნახევარს) მცირე ერთეულით (მაგალითად, 2მ = 20დმ, 2მ = 200სმ; 4კგ = 4000გ);
- იყენებს დროის ერთეულებს (საათები და წუთები) შორის ცნობილ თანაფარდობას და არითმეტიკული მოქმედებების გამოყენებით პოულობს დროის (ერთ საათამდე) ინტერვალს;
- ერთი საათის ნახევარს/მეოთხედს გამოსახავს წუთებით;
- იყენებს ნაშთით გაყოფას ზომის მოცემულ ერთეულებში მონაცემის სხვა ერთეულით გამოსახვისას (მაგალითად: რამდენი მეტი და სანტიმეტრია 320 სმ? რამდენი საათია 100 წუთი?).

**მიმართულება: კანონზომიერებები და ალგებრა**

**მათ. IV.6. მოსწავლეს შეუძლია შესაბამისობის აგება, გამოსახვა და გამოკვლევა.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს ერთსა და იმავე შესაბამისობას მისი გამოსახვის ხერხისაგან დამოუკიდებლად;
- რაიმე ხერხით (მაგალითად, სიტყვიერად, ცხრილის ან სქემის საშუალებით) მოცემული შესაბამისობისათვის პოულობს მითითებული ელემენტის წინასახეს;
- აგებს რეალური ვითარების ადეკვატურ შესაბამისობას ობიექტთა მოცემულ ორ ჯგუფს შორის (მაგალითად, მოსწავლეები და მერხები საკლასო ოთახში) და ცხრილის ან სქემის საშუალებით გამოსახავს მას.

**მათ. IV.7. მოსწავლეს შეუძლია ალგებრული გამოსახულების შედგენა და გამოყენება მარტივი ამოცანის ამოხსნისას.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ხსნის მარტივ პროპორციულ დამოკიდებულებასთან დაკავშირებულ ამოცანებს (რომლებშიც ერთეულის შესაბამისი რიცხვის მიხედვით საჭიროა რამდენიმე ერთეულის შესაბამისი რიცხვის გამოთვლა, მაგალითად, მოსწავლეები და მერხები საკლასო ოთახში) და ცხრილის ან სქემის საშუალებით დირებულების გამოთვლა);
- რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის მოსამებნად იყენებს შეკრებისა და გამრავლების კომუტაციურობას, ასოციაციურობას და შეკრების მიმართ გამრავლების დისტრიბუციულობას;
- პოულობს შეკრების, გამოკლების, გამრავლების, გაყოფის შემცველი ტოლობის უცნობი კომპონენტის მნიშვნელობას;
- ამოცანის ამოხსნისას განასხვავებს საჭირო და ზედმეტ მონაცემებს.

## მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა

**მათ. IV.8. მოსწავლეს შეუძლია გეომეტრიული ფიგურების აღწერა და მათი კლასიფიკაცია.**  
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ადარებს და აჯგუფებს სივრცულ ფიგურებს გეომეტრიული ატრიბუტების მიხედვით;
- თანამკვეთი ფიგურების გამოსახულებაზე უთითებს როგორც საერთო წერტილებს, ასევე იმ წერტილებს, რომლებიც მხოლოდ ერთ ფიგურას ეკუთვნის;
- სივრცულ ფიგურაში უთითებს მოსაზღვრე /არამოსაზღვრე წახნაგებს, თანამკვეთ/არათანამკვეთ წიბოებს.

**მათ. IV.9. მოსწავლეს შეუძლია ბრტყელი და სივრცული ფიგურების გრაფიკული გამოსახულებებისა და მოდელების შექმნა.**  
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ნიმუშის მიხედვით ქმნის მითითებული სივრცული ფიგურის მოდელს ან კარვასს სხვადასხვა მასალის გამოყენებით;
- ქმნის ბრტყელი ფიგურის ან ფიგურათა ჯგუფის გრაფიკულ გამოსახულებას მისი სიტყვიერი აღწერილობის საფუძველზე (მაგალითად, დახაზულების მქონე კვადრატი და მართკუთხედი);
- სივრცული გეომეტრიული ფიგურების მოდელებისაგან ქმნის მითითებულ კონფიგურაციას/ფიგურას; ანაწევრებს ბრტყელი გეომეტრიული ფიგურის გრაფიკულ გამოსახულებას ან მოდელს მითითებული ფიგურის/ფიგურების მისაღებად.

**მათ. IV.10. მოსწავლეს შეუძლია საგანთა და ფიგურათა ზომებისა და ობიექტთა შორის მანძილების პოვნა.**  
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ახდენს ორ ობიექტს შორის მანძილის შეფასებას შესაბამის სტანდარტულ ერთეულში, ზომავს მას და ამოწმებს თავის ვარაუდს;
- ზომავს და ითვლის ტეხილის სიგრძეს, მრავალკუთხედის პერიმეტრს და აფიქსირებს შედეგს შესაფერის სტანდარტულ ერთეულში;
- რეალური ვითარების შესაბამისი სქემატური გამოსახულების (რომელზეც მანძილებია აღნიშნული) მიხედვით პოულობს ორ ობიექტს შორის უმოკლეს მანძილს (მაგალითად, სახლიდან სკოლამდე მარშრუტის სიგრძე).

**მათ. IV.11. მოსწავლეს შეუძლია სქემაზე ორიენტირება და მარშრუტის აღმწერი მარტივი სქემის შექმნა.**  
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გამოარჩევს სიმბოლოების გამოყენებით მითითებულ მარშრუტს სქემაზე;
- იყენებს სიმბოლოებს (მაგალითად, ასოით აღნიშვნებს) სქემაზე მითითებულ ორ წერტილს შორის მარშრუტის აღსაწერად;
- სქემატურად გამოსახავს რეალური ვითარების შესაბამის მარშრუტს (მაგალითად, მარშრუტი სახლიდან სკოლამდე).

## **მიმართულება: მონაცემთა ანალიზი, ალბათობა და სტატისტიკა**

**მათ. IV.12. მოსწავლეს შეუძლია მოცემულ თემასთან ან გამოსაკვლევ ობიექტთან დაკავშირებით თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოკრებს საჭირო მონაცემებს მოწესრიგებული მონაცემების შესაფერისი კატეგორიებიდან;
- მოცემულ თემასთან დაკავშირებით სვამს რამდენიმე აღტერნატიული არჩევანის მომცველ კითხვებს და ამ კითხვების საშუალებით მოაბოვებს საჭირო მონაცემებს (მაგალითად, "რა სახის ნაყინს ანიჭებ უპირატესობას - შოკოლადის, მარწყვის თუ ნაღების?");
- ირჩევს მონაცემთა შეგროვების შესაფერის საშუალებას (დაკვირვება, გაზომვა) და იყენებს მას, განმარტავს თავის არჩევანს.

**მათ. IV.13. მოსწავლეს შეუძლია რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების მოწესრიგება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ალაგებს ჯგუფში გაერთიანებულ არაუმეტეს ათ მონაცემს (მაგალითად: ზრდადობით ან კლებადობით ალაგებს რიცხვით მონაცემებს; ლექსიკოგრაფიული მეთოდით ალაგებს გვარებს, რომელთა შორის რამდენიმეს საერთო აქვს არაუმეტეს ორი პირველი ასოსი);
- აჯგუფებს მონაცემებს არანაკლებ ორი ნიშნით და ხსნის დაჯგუფების წესს;
- სწორად ავსებს ცხრილს, სქემას, კითხვარს/ანკეტას (მაგალითად შეაქვს მონაცემები მზა ცხრილის შესაბამის უკრებში).

**მათ. IV.14. მოსწავლეს შეუძლია თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემთა ინტერპრეტირება და ელემენტარული ანალიზი**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სვამს სამიებო/შემაჯამებელ კითხვებს ცხრილის სახით წარმოდგენილი მონაცემების შესახებ;
- აღწერს/განმარტავს სვეტოვანი დიაგრამის სახით წარმოდგენილ მონაცემებს სიტყვიერად და წერილობით;
- ადარებს მონაცემთა ორ ერთობლიობას და პოლიობს თვისებრივ განსხვავებას მათ შორის (თვისებრიობა უკავშირდება ერთობლიობაში მონაცემთა გვარობას/ტიპს, მონაცემთა განმეორებადობას, პოზიციას და თანმიმდევრობას).

## **პროგრამის შინაარსი**

1. ნატურალური რიცხვები მიღიონის ფარგლებში;
2. მოქმედებები ნატურალურ რიცხვებზე;
3. ნაშთით გაყოფა;
4. მთელის ნახევარი, მესამედი და მეოთხედი ნაწილები მხოლოდ გაცნობის წესით (ნაწილის წილადად ჩაწერა და წილადების შესახებ ცოდნა არ იგულისხმება);
5. სიგრძის ერთეულები;
6. დროის ერთეულები: საათები და წუთები, საწყისი წარმოდგენები საათის 12-საათიანი ფორმატის შესახებ;
7. წონის ერთეულები: კილოგრამი, გრამი;
8. შესაბამისობები საგნებს შორის, საგნებსა და მათ ატრიბუტებს შორის; შესაბამისობის გამოსახვა ცხრილის და სქემის საშუალებით; მოცემული შესაბამისობისათვის ელემენტის წინასახე;
9. შეკრების, გამოკლებისა და გამრავლების შემცველი მთელრიცხოვანი გამოსახულებები და მათი ეკვივალენტობა;
10. შეკრებისა და გამრავლების კომუტაციურობა (გადანაცვლებადობა), ასოციაციურობა (ჯუფთებადობა) და შეკრების მიმართ გამრავლების დისტრიბუციულობა (განრიგებადობა);
11. ტექსტური ამოცანები, რომლებიც შეკრების, გამოკლებისა და გამრავლების შემცველი ალგებრული გამოსახულებების საშუალებით იხსნება.
12. სივრცული ფიგურები: პრიზმა, კონუსი, ცილინდრი;
13. სივრცული ფიგურის ელემენტთა ურთიერთგანლაგება: მოსაზღვრე და არამოსაზღვრე წახნაგები, თანამკვეთი და არათანამკვეთი წიბოები;
14. მრავალკუთხედის პერიმეტრი;
15. რეალურ ვითარებაში ობიექტთა ურთიერთგანლაგების აღმწერი სქემები;
16. თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების საშუალებანი: გაზომვა, დაკვირვება, გამოკითხვა; მონაცემთა ამოკრება მონაცემთა უმარტივესი წყაროებიდან (მაგალითად, ცნობარი);
17. თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების ორგანიზაცია: მონაცემთა დაჯგუფება; რაოდენობრივ მონაცემთა დალაგება ზრდადობა-კლებადობით; თვისებრივ მონაცემთა დალაგება ლექსიკოგრაფიული მეთოდით;
18. მონაცემთა წარმოდგენის საშუალებანი რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემებისთვის: ცხრილი, პიქტოგრამა; სვეტოვანი დიაგრამა.

**სტანდარტის შედეგის მიღწევისა და სახელმძღვანელოს შინაარსის  
ურთიერთკავშირის მატრიცა**

შინაარსი	თემის კავშირი მიზნებთან და შედეგებთან	საფარაულო ხანგრძლივობა
1	2	3
<b>I თავი</b> 1. მე-3 კლასში შესწავლილი მასალის გამეორება 2. შეკრება. შეკრების კანონები 3. რიცხვების ქვეშმინერით შეკრება 4. გამოკლება 5. გამოკლება ქვეშმინერით 6. გამოსახულება. მოქმედებათა შესრულების რიგი 7. ამოვხსნათ ამოცანები 8. ამოვხსნათ ამოცანები 9. მრგვალი რიცხვები 10. დიაგრამა	IV.2, IV.12, IV.1, IV.6, IV.13, IV.11, IV.13	24 სთ
<b>შემაჯამებელი წერა №1</b>		1 სთ
<b>II თავი</b> 1. გამრავლება 2. გამრავლების განრიგებადობის კანონი შეკრების მიმართ 3. გამრავლების განრიგებადობის კანონი გამოკლების მიმართ 4. რიცხვის გამრავლება 10-ზე, 100-ზე 5. გამრავლება ერთნიშნა რიცხვზე 6. გაყოფა ნაშთით 7. ჯამის გაყოფა რიცხვზე 8. გაყოფა ერთნიშნა რიცხვზე 9. გაყოფა ერთნიშნა რიცხვზე, როცა განაყოფის ჩანაწერში მიიღება ნული 10. ამოვხსნათ ამოცანები	IV.3, IV.7, IV.2	24 სთ
<b>შემაჯამებელი წერა №2</b>		1 სთ
<b>III თავი</b> 1. რიცხვები, რომლებიც მეტია 1000-ზე 2. კლასები და თანრიგები 3. ნატურალური რიცხვები 4. რიცხვის გადიდება და შემცირება 10-ჯერ, 100-ჯერ, 1000-ჯერ 5. რიცხვების შედარება 6. სიგრძის ერთეულები 7. მასის ერთეულები 8. ფრონის ერთეულები	IV.3, IV.7, IV.2	22 სთ
<b>შემაჯამებელი წერა №3</b>		1 სთ

1	2	3
<b>IV თავი</b> 1. მრავალნიშნა რიცხვების შეკრება 2. მრავალნიშნა რიცხვების გამოკლება 3. შეკრებისა და გამოკლების თვისებები 4. უცნობი შესაკრების პოვნა 5. უცნობი საკლებისა და მაკლების პოვნა 6. განტოლება 7. ამოცანები სიდიდეების შეკრება- გამოკლებაზე 8. შევაფასოთ ჯამი და სხვაობა	IV.7	22 სთ
<b>შემაჯამებელი წერა №4</b>		1 სთ
<b>V თავი</b> 1. მრავალნიშნა რიცხვის გამრავლება ერთნიშნა რიცხვზე 2. ნულით დაბოლოებული რიცხვის ქვეშმინერით გამრავლება 3. ნულით დაბოლოებული რიცხვების გამრავლება 4. მრავალნიშნა რიცხვის გაყოფა ერთნიშნა რიცხვზე 5. უცნობი თანამამრავლის პოვნა 6. უცნობი გასაყოფისა და გაყოფის პოვნა 7. სიჩქარე, სიჩქარის ერთეულები. კავშირი სხეულის სიჩქარეს, დროსა და მანძილს შორის დამოკიდებულება 8. ამოვხსნათ ამოცანები 9. რიცხვის გაყოფა ნამრავლზე 10. ნამრავლის გაყოფა რიცხვზე 11. ნულით დაბოლოებულ რიცხვზე ქვეშმინერით გაყოფა 12. გეომეტრიული ფიგურები	IV.8, IV.9, IV.10, IV.13 25 სთ	
<b>შემაჯამებელი წერა №5</b>		1 სთ
<b>VI თავი</b> 1. წილადი 2. წილადების შედარება 3. რიცხვის წილადი ნაწილის პოვნა 4. იპოვე მთელი, თუ იცი მისი ნაწილი 5. ორნიშნა რიცხვზე ქვეშმინერით გამრავლება 6. გამრავლება სამნიშნა რიცხვზე 7. ორნიშნა რიცხვზე გაყოფა 8. გაყოფა ორნიშნა რიცხვზე 9. გაყოფა სამნიშნა რიცხვზე	IV.4, IV.14, IV.11 22 სთ	
<b>შემაჯამებელი წერა</b>		1 სთ

სარეზერვო დრო — 35 საათი.

# ამოხსნები და მითითებები

## I თავი

### §1. შეკრება. შეკრების კანონები

მოსწავლეებიგაეცნობიანშეკრებისგადანაცვლებადობისადაჯუფთებადობის კანონებს, რომელთა ჭეშმარიტებაშიც პარაგრაფში განხილული ამოცანების გარჩევის შემდეგ დარწმუნდებიან. სავარჯიშოებში მრავლადაა მოცემული მაგალითები, სადაც ამ კანონების გამოყენების შედეგად შეკრების პროცესი საგრძნობლად მარტივდება.

8. ა)  $11+1+1+1$ ;      ბ)  $11 +11+1$ ;  
      გ)  $111+11$ ;      დ)  $111+1+1$ .

9. ა)  $10+10+7=27$ ;      ბ)  $10+10+7+7=34$ .

11. ბექას დარჩა 25 კანფეტი, მას შემდეგ რაც საბას მისცა 5 ცალი. ე.ი. გაყოფამდე მას ჰქონდა 30 კანფეტი, რაც თავდაპირველი რაოდენობის ნახევარია. პასუხი: 60 კანფეტი.

13. რადგან 1 და 10-ის დასახელება არ შეიძლება, ამიტომ ვეცადოთ, მივიღოთ 89, მეორე ასახელებს 2, ან 3 ან ... ან 9, ნებისმიერ შემთხვევაში მიღებული რიცხვი ივსება 100-მდე. ანალოგიური მსჯელობით უნდა მივიღოთ 79, 69, ....

a)	40	30	80
	90	50	10
	20	70	60

ვხედავთ, რომ ჯამი უნდა იყოს 90. I სვეტში ორი რიცხვი გვაქვს. ჯამი შევავსოთ 90-მდე. ჩაიწერება 18. ახლა II სტრიქონი შევავსოთ (აქაც ერთი რიცხვი აკლია)  $90-(18+30)=42$ . III სვეტი  $90-(42+36)=12$  II სვეტი  $90-(24+12)=54$

ბ)	48	6	36
	18	30	42
	24	54	12


## §2. რიცხვების ქვეშმინერით შეკრება

პარაგრაფში დაწვრილებითაა განხილული რიცხვების ქვეშმინერით შეკრების წესი. ახალი მასალის ახსნამდე მოსწავლეებს გავახსენოთ თანრიგები. მოცემული რიცხვებისთვის ვთხოვოთ დაასახელონ, თუ რომელი თანრიგის მაჩვენებელია ესა თუ ის ციფრი. მოვთხოვოთ დაშალონ 1 ათეული ერთეულებად, მაგ., 1 ასეული წარმოადგენს 90 ათეულისა და X ერთეულის ჯამს.

12. ა) 857; ბ) 578.

13. ა)  $2=2+0$  ან ბ)  $2=1+1$  ეს რიცხვებია:  
ა) 200; ბ) 110 და 101.

16.  $67+32=99$  (ადგილები გავუცვალეთ 3 და 2-ს).



კვადრატის გვერდის სიგრძეა  $160:4=40$ .  
მართკუთხედის პერიმეტრია  $240$  (სმ).


აქ სასურველია, ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ კვადრატების პერიმეტრების შეკრების შედეგად ჯამი შეიცავს ( $2 \cdot AB = 80$  სმ) ჯამს ზედმეტს. რაც მართკუთხედის პერიმეტრის ანგარიშისას საერთოდ არ უნდა მოგვემატებინა.

22. ა) 1-ით ბოლოვდება სამი 7-ის ჯამი. „7“. ბ) 8; გ) 7.


23. ა) იზრდება 8-ით;  
ბ) მოცემულ რიცხვს ემატება მისი მომდევნო რიცხვი;

25. პირველი მართკუთხედი მიიღება ორი კვადრატის მიდგომით  $P=36$  (სმ); მეორე კი სამი კვადრატის მიდგომით  $P=48$  (სმ).

**რებუსი:** ა)



ბ)



## §3. გამოკლება

პარაგრაფში განმარტებულია გამოკლების წესი. მოცემულია დავალებები, რომელთა შესასრულებლად მოსწავლეებს მოეთხოვებათ უცნობი საკლების, მაკლების ან სხვაობის პოვნა.

10. ლურსმნების ნახევარი იწონის  $18-10 = 8$  კგ. ანუ ლურსმნები იწონის 16 კგ. შესაბამისად კოლოფის წონაა 2 კგ.

**რებუსი:**

ა)  $368+153+476=997$ ; ბ)  $218+193+389=800$ .

#### ፩4. ገዢዎችና የሚከተሉት ቁጥር


პარაგრაფში დაწვრილებითაა განხილული ქვეშმინერით გამოკლების წესი. მოცემულია თვალსაჩინოებები, რომელიც მოსწავლეებს დაარწმუნებს ამ წესის მართებულობაში და დაეხმარება გამოკლების ოპერაციის აღქმაში.

$$10. \quad 650 - 560 = 90.$$


**11.** Տարուածան շինուածքամբ մաճօլուա  $650 \text{ ժ} - 85 \text{ ժ} = 565 \text{ ժ}$

შესაძლებელია ორი შემთხვევა:

1



11



სახლითან კინოთეატრამდე იქნება  $650 - 565 = 85$  გ.

**16.** ამ ტიპის ამოცანების ამოხსნისას ხდება სტანდარტული შეცდომა. მოსწავლეები ასრულებენ მოქმედებას:  $224 - 167 = 57$ . სასურველია, ეს ამოცანა შემდგენაირად დავანახოთ:

თურქლების ამოხევის შემთხვევაში ნიგნში დარჩა 166 გვერდი.

ე. ამოვარდნილია  $224 - 166 = 58$  გვერდი,  
რაც **29** ფურცელია.

$$17. 111 - 11 = 100.$$

**18. ა), ბ)** მოცემულ რიცხვს ემატება მისი მომდევნო რიცხვი;  
გ)  $n \rightarrow n+2$  ( $n+1$ ).

წ5. გამოსახულება. მოქმედებათა შესრულების რიგი

პარაგრაფში მოცემულია | რიცხვითი გამოსახულების და მისი მნიშვნელობის გამოთვლის მაგალითები. მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოქმედებების შესრულების რიგი. გარჩეულია შესაბამისი საცარჯიშოები (1 სთ).

3. 3)  $3 \cdot (2+5) \cdot 3 = 63$ ; 3)  $12+8+8 \cdot 9 = 92$ ;

$$\textcircled{b}) 54 \cdot 3 - (12 + 37) = 113; \quad \textcircled{c}) 24 + 5 \cdot (12 - 10) = 34.$$

$$9. \quad \textcircled{3}) (53 - 3 \cdot 9) + 4 \cdot 6 = 50;$$

$$\text{d) } (53 - 3 \cdot 9 + 4) \cdot 6 = 180$$


$$3) (53-3) \cdot 9 + 4 \cdot 6 = 474$$

## II ასოითი გამოსახულება:

10. ორი პაკეტის მასა იქნება 8 კგ.

10 პაკეტის კი  $8 \cdot 5 = 40$  კგ.

რებუსი:



## შ6. ამოცესნათ ამოცანები

ამ ტიპის ამოცანების ამოხსნის პრინციპია – გავათანაბროთ და გავყოთ. ეს სიტყვები თავად მეტყველებს ამოხსნის პროცესზე. ამ პარაგრაფში მოცემული სავარჯიშოები, ცხადია სხვაგვარადაც ამოიხსნება, მაგრამ მოსწავლეებისაგან მოვითხოვოთ ამ მეთოდით შესრულებული დავალებები.

1.  $(27-15):2$ ; 2.  $(35-3):2$ ; 3.  $(106-22):2$ ; 4.  $(918-2):2$ .

№1-4 სავარჯიშოებში ფრჩხილებში მოცემული რიცხვითი გამოსახულება გვიჩვენებს რაოდენობას, იმ პირობით, რომ ზედმეტი ვისაც ჰქონდა იმას წავართვით - ანუ გავათანაბრეთ.

5.  $X; X+1; X+2$  რომ გავათანაბროთ, ჯამი შემცირდება 3-ით,  $X=(66-3):3$ .

8. ყველა სკამს რომ სამი ფეხი ჰქონდა გვექნებოდა  $17 \cdot 3 = 51$  ფეხი. გვაქვს 61 ფეხი ( $10$ -ით მეტი), ანუ 10 სკამი – 4 ფეხი; 7 სკამი – სამფეხა.

9. I ამოხსნა:

გოჭსაც რომ ორი ფეხი ჰქონდა, გვექნებოდა  $25 \cdot 2 = 50$  ფეხი. გვაქვს 20 ფეხი ზედმეტი (თითო გოჭის 2 ფეხი), ანუ გოჭი ყოფილა  $20:2=10$ , ქათამი – 15.

II ამოხსნა:

ქათამსაც რომ 4 ფეხი ჰქონდა, გვექნებოდა 100 ფეხი. გვაკლია 30 ფეხი (თითო ქათმის 2 ფეხი). ანუ ყოფილა 15 ქათამი და 10 გოჭი.

III ამოხსნა:

წარმოვიდგინოთ, რომ გოჭები დადგნენ უკანა (2 ფეხზე), ფეხებზე და ქათმები ცალ ფეხზე. ცხადია, ფეხების რაოდენობა განახევრდა და მინაზე დგას  $70:2=35$  ფეხი.

წარმოვიდგინოთ, რომ ამის შემდეგ გოჭები დადგნენ ცალ ფეხზე, ქათმები კი გაფრინდნენ. დაგვაკლდა 25 ფეხი (თითო სულზე თითო ფეხი). დარჩა მინაზე დადგმული  $35-25=10$  ფეხი, რაც წარმოადგენს თითო გოჭის თითო ფეხს, ანუ ყოფილა 10 გოჭი და შესაბამისად 15 ქათამი.

10. სიგრძეც რომ სიგანის ტოლი ყოფილიყო, პერიმეტრი შემცირდებოდა  $2 \cdot 10 = 20$  სმ-ით და გახდებოდა 40 სმ. ე.ი. სიგანე ყოფილა  $40:4=10$  (სმ). სიგრძე კი  $10+10=20$  (სმ).

## §7. ამოვხსნათ ამოცანები (გაგრძელება)

1. ა) მეორეზე არის 18-ით ნაკლები, ე.ი. 19 წიგნი.

5. დღის ბოლომდე გაიყიდა  $190 - 100 = 90$  (კგ).

გავათანაბროთ: შუადღემდე გაიყიდა 30 კგ-ით მეტი, ე.ი.  $90 - 30 = 60$  (კგ)  $60 : 2 = 30$  (კგ).

პასუხი: ნაშუადღევს გაიყიდა 30 კგ. შაქარი.

10.  $1+2+3+\dots=45$ .

დავიწყოთ შეკრება და ვნახავთ, რომ  $45 = 1+2+3+\dots+9$ . 9 დღე.

12. რადგან მოძრაობა ხდება ან ვერტიკალურად (ზემოთ) ან ჰორიზონტალურად (მარჯვნივ), მარშრუტისაგან დამოუკიდებლად ზევით უნდა ავიდეთ 4 უჯრით, მარჯვნივ კი 7 უჯრით (თანმიმდევრობას მნიშვნელობა არ აქვს), ტოლია.

## §8. მრგვალი რიცხვები

მოსწავლეებს ავუხსნით, თუ როგორ რიცხვებს ეწოდება მრგვალი რიცხვები. განვიხილავთ რამდენიმე მაგალითს, თუ რომელ ორ მრგვალ რიცხვს შორისაა მოთავსებული ესა თუ ის რიცხვი.

2. რიცხვი რომ იყოს მრგვალი, ცხადია, ბოლო ციფრი უნდა იყოს „0”; ე.ი. ციფრებისგან 3, 4, 8 უნდა შევადგინოთ ყველა შესაძლო ორნიშნა რიცხვი და მივუწეროთ 0. ესენია:

340; 380; 430; 480; 830; 840;  $840 - 340 = 500$ .

9. ა)  $(2 \cdot 30 + 20) \cdot 9 = 720$ ; ბ)  $(2 \cdot 30) + (20 \cdot 9) = 240$ ; გ)  $2 \cdot (30 + 20 \cdot 9) = 420$ .

10. ა)  $a=6$ ;  $b=4$ ; ბ)  $a=3$ ;  $b=4$ .

11.  $270 - (120 + 90) = 60$  კმ

13. რადგან ერთი და იგივე რაოდენობა გაიტანეს, იქნება იმდენით მეტი, რამდენით მეტიც იყო გატანამდე, ე.ი. 120 კგ-ით.

14. ათეულების ციფრი „2“ ჩათვალეს „6“-ად. ანუ ჯამი მიიღეს  $6 - 2 = 4$  ათეულით მეტი. შეცდომის გასწორება მოხდება, თუ მიღებულ ჯამს გამოვაკლებთ 40-ს.  $895 - 40 = 855$ .

## §9. დიაგრამა

პარაგრაფში ნაჩვენებია სვეტოვანი დიაგრამის რამდენიმე მაგალითი.

**5.** მდგრინის სიგრძეებია 50 სმ; 53 სმ; 56 სმ; 59 სმ; 62 სმ; 65 სმ. მათი შეკრებით მივიღებთ ტეხილის სიგრძეს.

ამოცანა შეიძლებოდა ასეც გაგვეაზრებინა:

ყველა მდგრინის სიგრძე რომ ტოლი ყოფილიყო პირველისა, ტეხილის სიგრძე იქნებოდა  $6 \cdot 50 = 300$  სმ. ამას დავუმატოთ ის, რაც დავაკელით გათანაბრებისას  $1 \cdot 3 + 2 \cdot 3 + 3 \cdot 3 + 4 \cdot 3 + 5 \cdot 3 = 45$ , ანუ ტეხილის სიგრძეა  $300 + 45 = 345$  (სმ).

$$\begin{array}{ll} 6. \quad x+20=30 & x=10 \text{ სმ} \\ y+16=28 & y=12 \text{ სმ.} \end{array}$$

ტესტი თვითშემოწმებისთვის:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ბ	ბ	ბ	ბ	ბ	გ	დ	გ	დ	ბ

## I თავის დამატებითი სავარჯიშოები

**6.** თამუნა ლაშაზე 6 ნლით უფროსია, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, თამუნა მაინც 6 ნლით უფროსი იქნება ლაშაზე.

5 ნლის შემდეგ თამუნას ასაკი გაიზრდება 5-ით, ლაშას ასაკიც 5-ით. ე.ი. ასაკთა ჯამი გაიზრდება 10-ით. ორივე ერთად იქნება 26 ნლის.

**7.**  $8+(8+3)+(8+2 \cdot 3) \dots +(8+9 \cdot 3)=8 \cdot 10+(3+2 \cdot 3+\dots+9 \cdot 3)=80+3(1+2+\dots+9)=80+3 \cdot 45=80+135=215$ .

**8.** მესამე დღესაც რომ იმდენი გაევლო, რაც I და II დღეს, სულ გავლილი ექნებოდა  $997-100=897$  (გავათანაბრეთ), ანუ I და II დღეს გაიარა  $897:3=299$ , 299 კმ და 299 კმ, მესამე დღეს კი – 399 კმ.

**12.** პირველი ციფრი “0” ვერ იქნება. 3-ით დაწყებულია: 380 და 308. 8-ით დაწყებული კი 830 და 803.  $830-308=522$ .

**14.**

	ახლა	4 ნლის შემდეგ	29 ნლის შემდეგ
შვილი	1	5	30
მამა	31	35	60

	30-ით მეტია	$35:5=7$ -ჯერ უფროსი	$60:30=2$ -ჯერ უფროსი
--	-------------	-------------------------	--------------------------

15. A და C-ს შედარება გვაჩვენებს, რომ A ყალბია, რადგან უფრო მსუბუქია. B და C არ არის ყალბი.

	იყო	გაიტანეს	დარჩა
I დღე	800	250	550
II დღე	550	300	250

22.

$$\begin{array}{ccccccc}
 & & 999 & & & & \\
 & \swarrow & & \searrow & & & \\
 1, & 2, & \dots & 99, & 100 & \dots & 999 \\
 & \swarrow & & \searrow & & & \\
 99 & & & & 999-99=900 & &
 \end{array}$$

სასურველია, მოსწავლეებს ვაჩვენოთ, რომ  
 1-ნიშნა რიცხვების რაოდენობაა — 9;  
 2-ნიშნა — 90;  
 3-ნიშნა — 900 და ა.შ.

28. დააწყეს  $3 \cdot 30 = 90$  ნიგნი, სულ იყო  $128 + 90 = 218$ .

29.  $3 \cdot 25 + 5 = 80$ ,  $80$  ლარი

30. დღე-ლამეში ადის 3 მ-ს. II დილით იქნება 6 მეტრზე ასული. დღისით ცოცდება 5 მეტრით, III დღეს მიაღწევს ხის კენწეროს. ე.ი. შაბათს.

31.  $4 \cdot 80 + 3 (80+20) = 320 + 300 = 620$

32.	იყო	I	II	III	IV	V	VI	VII
10 ლ. ჭურჭ.	10	7	7	4	1	1	1	5
3 ლ. ჭურჭ.	0	3	0	3	3	0	3	0
7 ლ. ჭურჭ.	0	0	3	3	7	7	4	4

V გადმოსხმისას 3-ლიტრიანი ჭურჭლიდან უბრალოდ გადავაქციეთ წყალი.

## II თავი

### §1. გამრავლება

პარაგრაფში განხილულია ამოცანები, რომელთაც მივყავართ გამრავლების გადანაცვლებადობისა და ჯუფთებადობის კანონებამდე.

7. ეს რიცხვია 750. ცხადია, ციფრების ნამრავლი ნულია, რადგან 1 თანამამრავლი 0-ის ტოლია.

10. ა) 200–2x.

### §2. გამრავლების განრიგებადობის კანონი შეკრების მიმართ

პარაგრაფის დასაწყისში განხილული ამოცანა 1-ის ამოხსნა გვაჩვენებს გამრავლების განრიგებადობის ჯამის მიმართ სამართლიანობას, რის შემდეგაც მოსწავლეებს ვთხოვთ, შეასრულონ გამრავლება ადვილი ხერხით.

$$3. P=40+60+56+70=10\cdot(4+6+5+7)=220.$$

9. ა)  $462-70=392$ ; გ)  $65\cdot 4=260$ ;  
ბ)  $714:7=102$ ; დ)  $108-0=108$ .

11. უდიდესი იქნება 987; უმცირესი კი 102. სხვაობაა 885.

12. ცხადია, ნულის, რადგან ციფრთა ჯამი რომ 2 მივიღოთ 1, ციფრი მაინც “0” უნდა იყოს.

### §3. გამრავლების განრიგებადობის კანონი გამოკლების მიმართ

პარაგრაფის დასაწყისში განხილული ამოცანით მოსწავლეები მივყავავს გამრავლების განრიგებადობის კანონამდე (გამოკლების მიმართ), რის შემდეგაც ვეცნობით განრიგებადობის კანონს ზოგადად. გარჩეული მაგალითების საფუძველზე ვიყენებთ ახალ ახსნილ მასალას.

### §4. რიცხვის გამრავლება 10-ზე, 100-ზე

მოსწავლეებს ვაცნობთ რიცხვის 10-ზე და 100-ზე გამრავლების წესებს და 0-ით დაბოლოებული რიცხვების 10-ზე და 100-ზე გაყოფის წესებს. მიღებული ცოდნა გაამარტივებს მოქმედებებს შესაბამის მაგალითებში. მოგვცემს საშუალებას ზომის ერთი ერთეულით გამოსახული სიდიდე გადავიყვანოთ სხვა ერთეულებში.

მაგალითების ამოხსნისას მოსწავლეების ყურადღება გავამახვილოთ, რომ მაგალითში მოცემული გამრავლებისა და გაყოფის ოპერაციები უნდა შესრულდეს იმ თანმიმდევრობით, როგორც არის ჩანერილი.

**14.** სატვირთომ იმოძრავა 3 სთ, ე.ი. გაიარა  $3 \cdot 48$  კმ. მსუბუქმა ავტომობილმა კი 2 სთ, გაიარა  $2 \cdot 82$ . ამრიგად, მათ შორის მანძილი იქნება  $750 - (3 \cdot 48 + 2 \cdot 82) = 442$ .

## §5. გამრავლება ერთნიშნა რიცხვზე

პარაგრაფში დაწვრილებით არის განხილული რიცხვის ერთნიშნა რიცხვზე ქვეშმიწერით გამრავლების წესი. მოსწავლეები, ამ წესის სწავლის შემდეგ, უფრო ადვილად შეასრულებენ გამრავლების ოპერაციას.

7. ა)  $34 \cdot 9 = 306$ ,  $960 - 306 = 654$ ;  
ბ)  $137 \cdot 7 = 959$ ;  $980 - 959 = 21$ ;  $21 : 7 = 3$ .
8. ა) ორმაგდება  $3, 6, 12, 24, 48, 96, 192$ .  
ბ) ორზე მრავლდება  $1, 2, 4, 8, 16, 32, 64$  (ორის ხარისხებია).  
გ) 4-ზე მრავლდება  $1, 4, 16, 64, 128, 512, 2048$  (4-ის ხარისხები).  
დ) ორზე მრავლდება  $5, 10, 20, 40, 80, 160, 320$ .

**რებუსი:** ა)  $66 \cdot 8 = 528$ ; ბ)  $235 \cdot 3 = 705$ .

## §6. გაყოფა ნაშთით

პარაგრაფში განხილულია ამოცანები, რომელთა ამოსახსნელად საჭიროა ნაშთიანი გაყოფა. სასურველია, ვაჩვენოთ მოსწავლეებს, რომ თუ ა რიცხვის  $b$ -ზე გაყოფის ნაშთია  $c$ , მაშინ ( $a - c$ ) რიცხვი იყოფა  $b$ -ზე. დავსვათ შეკითხვები, მაგ., რა უდიდესი ნაშთი შეიძლება მივიღოთ  $7$ -ზე გაყოფის შედეგად, ან რამდენი შესაძლო ნაშთი არსებობს  $8$ -ზე გაყოფისას. გავამახვილოთ ყურადღება: თუ რიცხვი უნაშთოდ იყოფა, მეორე რიცხვზე, ე.ი. ნაშთი “0”-ია. ყოველივე ამის შემდეგ უკვე მოსწავლეები შეძლებენ №4 სავარჯიშოში მოცემული ნიმუშის გაგებას  $(25-4):7=3$  ანუ  $25-4=7 \cdot 3$ ,  $25=7 \cdot 3+4$ , ამის შემდეგ ჩამოვაყალიბოთ კავშირი  $a:b=c(r)$ ,  $a=bc+r$ .

9. დედა + შვილი = 77 (1);  
მამა + შვილი = 92 (2);  
დედა + მამა = 145 (3).

(1) და (2)-დან ჩანს, რომ მამა დედაზე 15 კგ-ით მდიმეა. ხოლო (3)-დან მამისა და დედის ჯამური წონა 145 კგ-ია.

მამის მასა რომ დედის მასის ტოლი იყოს, მაშინ ორივე აიწონის  $145 - 15 = 130$  კგ-ს. ე.ი. დედა იწონის 65 კგ-ს. მამა  $65 + 15 = 80$  კგ-ს.  
შვილი კი 12 კგ.

10. დავთვალოთ ფუძეები **B** წვეროთი.  
**AM, AN, AK, AC.**

ეს შეიძლებოდა არ ჩამოგვეწერა და გვეთქვა: **A** ბოლოთი არის 4 მონაკვეთი; **M** ბოლოთი (სთან აღარ ვთვლით) 3 მონაკვეთი;

**N** ბოლოთი 2 მონაკვეთი;  
**K** ბოლოთი კი 1 მონაკვეთი;  
**სულ** **1+2+3+4=10** მონაკვეთი.

## §7. ჯამის გაყოფა რიცხვზე

პარაგრაფში გარჩეულია მოცანის საფუძველზე მოსწავლეები და არწმუნდებიან, რომ ჯამის რაიმე რიცხვზე გაყოფილიას შესაძლებელია თითოეული შესაკრები გავყოთ ამ რიცხვზე (თუ იყოფა) და შემდეგ შედეგები შევკრიბოთ. ამ ნესის გამოყენებამ შესაძლებელია, საგრძნობლად გაამარტივოს ზოგიერთი მაგალითის გამოთვლის პროცესი.

$$10. (32+2 \cdot 32):6=16_3.$$

$$11. (a+b):6.$$

$$12. (39+(39-12)):3.$$

$$13. \text{~s) } 177:3=(180-3):3=180:3-3:3=59.$$

$$16. (248+248:2):4=93.$$

$$17. (168+168:2):12=21.$$

## წმ. გაყოფა ერთნიშნა რიცხვზე

პარაგრაფში დაწვრილებითაა განხილული რიცხვის ერთნიშნა რიცხვზე გაყოფის ნიმუშები. სავარჯიშოებში მოცემულია ამოცანები, რომელთა ამოხსნა მოითხოვს რაიმე რიცხვის ერთნიშნა რიცხვზე გაყოფის შესრულებას.

$$15. 88 - 8 \cdot 4 = 88 - 32 = 56 \text{ (30).}$$

**17.** დასატვირთია  $180 - 135 = 45$  კგ-ით მეტი ტვირთი, რისთვისაც საჭიროა სულ  $9 + 3 = 12$  სატვირთო.

**18.** а) 48 იყოფა 4-ზე ანუ უნდა ჩაიწყოს 4-ის ჯერადი. 4 ან 8;  
ბ) 45-ის 4-ზე გაყოფის ნაშთია 1 ანუ უნდა ჩაიწეროს 3;  
გ) 41-ის 4-ზე ნაყოფის ნაშთია 1 უნდა ჩაიწეროს 3 ან 7;  
დ) 42-ის 4-ზე გაყოფის ნაშთია 2 უნდა ჩაიწეროს 2 ან 6.

## §9. გაყოფა ერთნიშნა რიცხვზე, როცა განაყოფის ჩანაწერში მიიღება ნული

პარაგრაფში მრავლადაა განხილული შესაბამისი მაგალითები. მოსწავლეებს ვუთხრათ, რომ მათ შეუძლიათ თავიდანვე განსაზღვრონ განაყოფში ციფრების რაოდენობა, რაც საშუალებას მოგვცემს შევამოწმოთ გაყოფის შედეგი.

**9.** მითითება: მივყვეთ ბოლოდან.

## §10. ამოვხსნათ ამოცანები

**10.** რადგან ყოველი 6 ბურთის შეძენის შემთხვევაში 1 ბურთს ჩუქნიან, გამოდის რომ 6 ბურთის ფასად შეიძენს 7 ბურთს.

6 ბურთი ღირს 24 ლარი  $100:7=14$  (2);  
უნდა გადაიხადოს  $14 \cdot 24 + 2 \cdot 4 = 344$  (ლარი).

**11.** ჩადიოდა რვა და ამოდიოდა 5, ე.ი. ყოველ გაჩერებაზე აკლდებოდა 3 მგზავრი. 7 გაჩერებაზე დააკლდება 21 მგზავრი და დარჩება 24.

რებუსი:  $906:2=453$ .

ტესტი თვითშემოწმებისთვის:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
გ	გ	ბ	ბ	ა	ა	გ	ბ	ბ	გ

## II თავის დამატებითი სავარჯიშოები

**5.**  $108 \cdot 2 + (200 - 108) \cdot 3 = 492$

**7.** ცარცი, დაფა, მერხი, თეატრი.

**8.** აულიათ იმდენი, რამდენიც დევს ერთ თაროზე, ე.ი. 24.

**11.** აულიათ 1 ყუთი, ე.ი. დარჩა 28 ფანქარი.

**12.** ა)  $22:2 \cdot 2:2 = 11$ ;

ბ)  $22:2 + 2:2 = 12$ ;

გ)  $(22+2+2):2 = 13$ ;

დ)  $(22+2):2+2 = 14$ .

შეიძლება ასეც:

- ა)  $22 \cdot 2 + 2 - 2 = 11$ ;
- ბ)  $2 \cdot 2 \cdot 2 + 2 \cdot 2 = 12$ ;
- გ)  $2 \cdot 2 \cdot 2 \cdot 2 - 2 = 14$ .

**15.**  $923 - 153 \cdot 5 = 158$ .

- 23.** ა) 2, 12, 22, 32, 42, 52 (იზრდება 10-ით);  
ბ) 7, 14, 21, 28, 35, 42 (7-ის ჯერადებია);  
გ) 5, 8, 11, 14, 17, 20... (იზრდება 3-ით);  
დ) 20, 40, 60, 80, 100, 120... (20-ის ჯერადებია).

### III თავი

#### §1. რიცხვები, რომლებიც მეტია 1000-ზე

პარაგრაფში მოცემული მაპროვოცირებელი ამოცანების დახმარებით მოსწავლეები გაეცნობიან 1000-ზე მეტ რიცხვებს. ნახავენ, რომ 1 ათასს შეადგენს 10 ასეული. ნახავენ, რომ რიცხვებს ათასეულების ჩათვლით ითვლიან როგორც ერთეულებს. მაგ., ერთი ათასი, 2 ათასი, 3 ათასი... გაიგებენ, რომ ათასი ათასეული 1 მილიონია.

5. ა)  $188=100+50+20+10+5+2+1$ ;
- ბ)  $198 =100+50+20+20+5+2+1$ ;
- გ)  $207=100+100+5+2$ ;
- დ)  $300=100+100+100$ .

6. გაიზრდება 5000-ით.

#### §2. კლასები, თანრიგები

მოსწავლეები გაეცნობიან კლასებსა და თანრიგებს, შეძლებენ მრავალნიშნა რიცხვის დაყოფას კლასებად და მის წაკითხვას.

#### §3. ნატურალური რიცხვები

მოსწავლეები გაეცნობიან თვლის პოზიციური სისტემის ცნებას. გაიგებენ, რომ თვლის სისტემას, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ ათობით პოზიტიური სისტემა ეწოდება, ნახავენ იმას, რომ თუ მოცემულ რიცხვში ციფრს გადავაადგილებთ მარცხნივ 1 ერთეულით, მაშინ მისი მნიშვნელობა გაიზრდება 10-ჯერ, ხოლო თუ გადავაადგილებთ მარჯვნივ, მისი მნიშვნელობა შემცირდება 10-ჯერ.

4. ა) 1; ბ) არ არსებობს.

10. მთელს + ნახევარი უდრის  $100-1 = 99$ .  $66+33= 99$ .  
ბებო 66 წლისაა.

15. ... 43 ... ციფრები მარცხნიდან მარჯვნივ 7-ით იზრდება, ანუ  
 $22, 29, 36, 43, 50, 57, 64$ .

17. ა) 9540; ბ) 4059.

## §4. რიცხვის გადიდება და შემცირება 10-ჯერ, 100-ჯერ, 1000-ჯერ

მოსწავლეები გაეცნობიან წესს, თუ როგორ უნდა გაადიდონ მოცემული რიცხვი 10-ჯერ, 100-ჯერ, 1000-ჯერ.

## §5. რიცხვების შედარება

მოსწავლეები ნახავენ, რომ ორი რიცხვიდან ნაკლებია ის, რომელიც თვლისას უფრო ადრე შეგვხვდება და მეტია ის, რომელიც თვლისას უფრო გვიან შეგვხვდება.

- 8.** გიორგის აქვს  $2(1+2+5+10+20+50+100+200+500)=1776$ .  
ნიკას აქვს  $3 \cdot 200 + (1+2+5+10+20+50+100+500)=600+688=1288$ .
- 9.** 5 საზამთრო 2 ნესვი უდრის 2 საზამთროს 5 ნესვს;  
3 საზამთრო 3 ნესვის ტოლია.
- 10.** ა)  $2 \cdot 3 = 6$  (მეტრი);                  ბ)  $4 \cdot 3 = 12$  (მეტრი);  
გ)  $9 \cdot 3 = 27$  (მეტრი);                  დ)  $39 \cdot 3 = 117$  (მეტრი).

## §6. სიგრძის ერთეულები

მოსწავლეები გაეცნობიან სიგრძის სხვადასხვა ერთეულს, ნახავენ თუ რა კავშირია მათ შორის. შეძლებენ მოცემული სიდიდის ერთი ერთეული სიგრძის სხვა ერთეულით გამოსახვას.

- 2. ბ)** 8 კმ და 6 დმ უნდა გამოვსახოთ სანტიმეტრებით  
 $8 \text{ კმ} = 8 \cdot 1 \text{ კმ} = 8 \cdot 1000 \text{ მ} = 8000 \text{ 100 სმ} = 800000 \text{ სმ}$ .  
6 დმ =  $6 \cdot 1 \text{ დმ} = 6 \cdot 10 \text{ სმ} = 60 \text{ სმ}$ .  
8 კმ და 6 დმ = 800060 სმ.
- 4.** ა)  $1 \text{ კმ} = 5 \cdot 200 \text{ მ} \approx 1000 \text{ გრადუსით } 1000 \cdot 5 = 5000 \text{ გრადუსი}$ .  
ბ)  $2 \text{ კმ} = 2 \cdot 1000 \text{ მ} = 2000 \text{ გრადუსით, } 2000 \cdot 5 = 10000 \text{ გრადუსი}$ .
- 10.**  $1000 - (240 + 180) = 580$  (მეტრი).

**11.** მიიღება 100 პატარა კვადრატი, ზოლის სიგრძე იქნება  $100 \cdot 1 = 100$  სმ.

**12.**  $58 \cdot 3$  ათეულების ციფრი იცვლება 0-დან 9 ჩათვლით. 0, 1, 2, ..., 9.

**14.** პირველ ორ პირობას აკმაყოფილებს ასეთი რიცხვები

ა) .721;                  ბ) .942.

მესამე პირობა ა) შემთხვევაში გვაძლევს 2 რიცხვს 8721, 9721.

ბ) შემთხვევაში კი ასეთი რიცხვი არ არსებობს.

## §7. მასის ერთეულები

მოსწავლეები გაეცნობიან მასის სხვადასხვა ერთეულებს. შეძლებენ ერთი ერთეულით მოცემული სიდიდის სხვა ერთეულებით გამოსახვას. შეაფასებენ, თუ რომელი ერთეულით ჯობს ამა თუ იმ მონაცემის გამოსახვა.

$$4. \text{ v) } 2\text{जरूर} = 2 \cdot 1\text{जरूर} = 2 \cdot 1000 \text{ ग्रन्ति} = 2000 \text{ ग्रन्ति};$$

$$\text{d)} 3 \text{ ફંડા } 5 \text{ રૂપા } = 3 \cdot 1 \text{ ફંડા } 5 \text{ રૂપા } = 3 \cdot 1000 \text{ રૂપા } ફંડા 5 \text{ રૂપા } = 3005 \text{ રૂપા};$$

$$g) 5\varnothing = 5 \cdot 1\varnothing = 5 \cdot 10\wp = 50\wp;$$

$$\text{დ) } 2\cdot 3 \text{ კგ} = 2\cdot 1\cdot 3 \text{ კგ} = 2\cdot 100 \text{ კგ და } 3 \text{ კგ} = 203 \text{ კგ} = 203\cdot 1 \text{ კგ} = \\ = 203\cdot 1000 \text{ გრ} = 203000 \text{ გრ.}$$

$$10. \text{ მეორედ } შეგროვდა 2\varnothing 80 \text{ კგ} - 160 \text{ კგ} = 2080 \text{ კგ} - 160 \text{ კგ} = 1920 \text{ კგ}.$$

სულ შეგროვდა 2080 კგ +1920 =4000 კგ;

გადაარჩინეს  $4000:100 = 40$  ხეს.

მოიფიქრე:

$$1. \text{ v) } 90 \cdot 2 = 180;$$

$$\text{d)} 900 \cdot 3 = 2700.$$

გ) 25-დან 359-ის ჩათვლით არის: ორნიშნა არის  $99 - 24 = 75$

სამნიშვნა არის  $359 - 99 = 260$

დაწერილია  $2 \cdot 75 + 3 \cdot 260 = 150 + 780 = 930$  ციფრი.

**2. ა) 1, 2, 4, 7, 11, 16, 22, 29, 37 ყოველი შემდეგი იზრდება ერთით მეტი რიცხვით, ვიდრე წინა,**

ბ) 1, 2, 6, 24, 120, 720, 5040, 40320 მრავლდება 1-ზე, 2-ზე, 3-ზე, 4-ზე ...

**3.** | აწონვა: 100 გრ. ფერილი;

II ანონგა:  $100 \text{ გრ გირი} + 100 \text{ გრ ფქვილი} = 200 \text{ გრ ფქვილი};$

III ანონვა:  $100 \text{ გრ გირი} + 100 \text{ გრ ფქვილი} + 200 \text{ გრ ფქვილი} = 400 \text{ გრ};$

მივიღეთ ფასი:  $100 + 200 + 400 = 700$  გრ.

• [View Details](#) • [Edit](#) • [Delete](#)

## §8. დროის ერთეულები

მოსწავლეები შეძლებენ დროის სხვადასხვა ერთეულით მოცემული სიდიდეების ხელსაყრელი ერთეულებით წარმოდგენას.

**6.** ა)  $76:24 = 3(4)$  გავა 3 დღე-ლამე და ნაშთია 4 სთ.

ე.ი. იქნება ოთხშაბათი 17 სთ.

ბ)  $54:24 = 2(6)$  გასავლელი 2 დღე-ლამე და 6 სთ.

6 საათის წინ იყო  $13 - 6 = 7$  (დილის 7 საათი). ორი დღის წინ კი იყო პარასკევი.  
ე.ი. პარასკევი დილის 7 საათი.

**11.** ა)  $1 \text{ წთ} = 10 \cdot 6 \text{ წმ} \text{ აივსება } 10 \text{ ქილა.}$

**13.** ა)  $3 \text{ სთ} \text{ და } 30 \text{ წუთი} \text{ არის } 15 \text{ სთ. და } 30 \text{ წთ. გრძელდებოდა } 5 \text{ სთ. } 30 \text{ წთ.}$

ბ)  $3 \text{ სთ} \text{ და } 15 \text{ წუთზე.}$

**14.** აისბერგის სიმაღლეა  $8 \cdot 30 \text{ მ} = 240 \text{ მ}$ .

წყალქვეშ იქნება  $240 - 30 = 210 \text{ მ}$

ტესტი თვითშემოწმებისთვის:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ბ	ბ	ბ	გ	ბ	გ	ბ	დ	დ	გ

## III თავის დამატებითი სავარჯიშოები

**7.**  $159; 195; 519; 591; 915; 951.$

**12.** პერიმეტრი შემცირდება  $4 \cdot 4 = 16$ -ით.

**13.** მოხდა 7 გახერხვა. ანუ ერთი გახერხვა ღირს 2 ლარი. 2 ცალი 5-მეტრიანი ხე რომ დახერხოს 1 მეტრიან მორებად დასჭირდება  $2 \cdot 4 = 8$  გახერხვა. მიიღებს 16 ლარს.

**15.**  $200 \text{ კგ.}$

**16.** წონა იქნება  $5 \cdot 2 \text{ კგ} + 2 \cdot 5 \text{ კგ} = 20 \text{ კგ.}$

1 შეკვრა იწონის 2 კგ-ს.

**17.**  $60 \text{ სთ} = 20 \text{ დღე-ლამე და } 12 \text{ საათი}, \text{ ე.ი. იქნება ლამის } 12 \text{ საათი.}$

ე.ი. მზე არ იქნება.

**22.** ა)  $12 \text{ ლარი} \cdot 30 \text{ თეთრი} \cdot 2 = 24 \text{ ლარი და } 60 \text{ თეთრი;}$

ბ)  $12 \text{ ლარი} \cdot 30 \text{ თეთრი} : 3 = 4 \text{ ლარი და } 10 \text{ თეთრი.}$

## IV თავი

### §1. მრავალნიშნა რიცხვების შეკრება

პარაგრაფში დაწვრილებითაა აღნერილი 1000-ზე მეტი რიცხვების ქვეშმიწერით შეკრების წესი. გავახსენოთ მოსწავლეებს შეკრების კანონები.

**9. 2) ა.**

**10. დ.**

### §2. მრავალნიშნა რიცხვების გამოკლება

მოსწავლეები გაეცნობიან 1000-ზე მეტი რიცხვების ქვეშმიწერით გამოკლების წესს.

**რებუსი:** ა)  $1425 + 3879 = 5304$ ;      ბ)  $476 : 2 = 238$ .

### §3. შეკრებისა და გამოკლების თვისებები

მოსწავლეები გაეცნობიან შეკრებისა და გამოკლების თვისებებს. გაეცნობიან ჯამიდან რიცხვის გამოკლების, რიცხვიდან ჯამის გამოკლებისა და რიცხვიდან სხვაობის გამოკლების წესებს.

I.

